ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 აგვისტო 2008 №192 (3416) ფასი 50 თეთრი

სიხარული შავი არშიით

საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებას გამარჯობა უთხრა

ოთარ თუშიშვილი: გული გორში, მედალი პეკინში

რა აქვს გულში სერგეი ივანოვს, როცა ტაშს უკრავს ქართველს? შეხედე გარდნერს და დაამარცხე კარელინი!

კახა ბერიძე
პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები პეკინში 12 აგვისტოს გამთენიისას ჩამოფრინდნენ, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში რუსული ბომბები პანტა-პუნტით ცვიოდა, მაშინ როდესაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის აგრესია და ძალადობა საქართველოსადმი კულმინაციას უახლოვდებოდა...

იმ თვითმფრინავში, რომელმაც ზაზა თურმანიძის შეგირდები ჩინეთის დედაქალაქში ჩამოიყვანა, ორი გორელი ბიჭიც იყო, ტიტულოვანი სპორტსმენები გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი...

ერთმა გუშინ იჭიდავა, მეორე კი ხალიჩაზე დღეს გავა. უფრო სწორად, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, „გოგშელა“ ოქროსკენ უკვე დაძრული იქნება...

ოლიმპიურ სოფელში მათ ომის ამბებზე ქართველთაგან შეგნებულად არავინ ელაპარაკება. რა თქმა უნდა, მათთან საუბრისას ამ მტკივნეულ თემას არც ოლიმპიადაზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტები ვეხებით და ეს სავსებით ლოგიკური, სწორი და ადამიანურია. გულის სიღრმეში, ალბათ, მშობლიურ კუთხეზე ფიქრი არ ასვენებთ, მაგრამ უშუალოდ შეჯიბრის წინ მათთვის ისედაც იმ საშინელი სურაფის ერთხელაც შეხსენება და ზედმეტი სტრესი ყოვლად გაუმართლებელია. ორთავე კარგად უწყის, რომ ამ კონკრეტულ ვითარებაში, რაც მათ მშობლიური ქვეყნისთვის და ქალაქისთვის შეუძლიათ გააკეთონ, ეს მსოფლიოს უპირველეს სპორტულ ფორუმზე წარმატების მიღწევაა. ამით თუ შეძლებენ ჩვენი ხალხის გულების გახარებას და მტრისთვის თვალის დაბრმავებას. თავად ვარ მოწმე, 13 აგვისტოს პეკინში ჩვენი ათლეტების გასაოცარი გამარჯვებისას ზოგიერთები ბოლმისგან გულზე რომ გასკდნენ.

ეს ამოღენა წინათქმა იმად დამჭირდა, რომ გუშინ ოლიმპიურ თამაშებზე შიდა ქართლის მთავარქალაქ გორის მკვიდრმა, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოთარ თუშიშვილმა მართლაც რომ ვაჟკაცურად იბრძოლა და ოდნავ იღბალიც რომ წაშველებოდა, ვინძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ასულიყო. ეს უდიდესი ტრიუმფი იქნებოდა, არადა, რა ცოტა დააკლდა ფინალში გასასვლელად თურქ მსოფლიოს, ევროპისა და ახლა უკვე ოლიმპიურ ჩემპიონ რამაზან საჰინთან, რომელიც წარმოშობით დაღესტნელია.

ოთარ თუშიშვილმა საწყის ორ შეხვედრაში იაპონელ და განსაკუთრებით, გამოცდილ ბულგარელ ფალავანთან სერაფინ ბარზაკოვთან ისეთი შემართებით იჭიდავა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, ოქრომდე რომ შეეძლო მისვლა.

დარბაზში შეკრებილი მცირერიცხოვანი ქართველი გულშემატკივარიც სულგანაბული და იმედიანი განწყობით ველოდით ნახევარფინალურ ბრძოლას, სადაც ოთარმა სული და გული კი ჩააქსოვა წარმატების მისაღწევად, მაგრამ იღბალი მეტოქის მხარეს იყო.

საბოლოოდ თუშიშვილმა კუბელი მოჭიდავის დამარცხებით ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ოთარ თუშიშვილი მეტ-ნაკლებად უიღბლო სპორტსმენთა რიცხვს განეკუთვნება. მას გადამწყვეტ მომენტში ყისმათი ხშირად ღალატობს და ამადაცაა, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებზე ოქრო ერთხელაც რომ ვერ მოინაგრა.

აქვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც, ჩვენებურისა და კუბელი ჰენრი გარზონის მესამე ადგილისთვის შეხვედრის მიმდინარეობისას რომ მოხდა. ვიპ-ლოჟაში, რომელიც პრესის ადგილებიდან ხუთიოდე მეტრით თუ იქნება დაშორებული, რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ამჟამად ქვეყნის ვიცე-პრემიერი სერგეი ივანოვი გამოჩნდა, რომელიც სეოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგს მხურვალედ მიესალმა და რაც ყველაზე საოცარია, თუშიშვილის ისეთი გულიანი გულშემატკივრობა დაიწყო, გაოცებისგან სახტად დავრჩი. ბრინჯაოს მოპოვების შემდეგ კი არც ტაშის დაკვრა დავიწყებია. მაგრამ, ვერაფრით ვიჯერებ, რომ ივანოვის ეს საქციელი ალალი იყო და ამიტომაც, რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში საიტიევსა და უზბეკი ტიგიევის ფინალური ორთაბრძოლისას ქართველები ყველას დასანახად უზბეკ ფალავანს ვგულშემატკივრობდით, ხოლო საიტიევის გამარჯვების შემდეგ დაჯილდოვების ცერემონიალს არ დაველოდეთ...

სასწაულები ოლიმპიურ თამაშებზე არცთუ ხშირი მოვლენაა და აკი აღარ განმეორდა კიდეც, როდესაც პლაჟის ფრენბურთელთა ნახევარფინალურ დაპირისპირებაში ვაჟთა შორის გეორ-გია ამერიკულ დუეტთან დამარცხდა.

ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს კაცს და რენატოსა და ჟორჟს უსაყვედუროს, რადგან ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვედრაც გვარიანი შედეგია. 22 აგვისტოს ბრინჯაოსთვის მატჩში მათი მეტოქე ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ბრაზილიური წყვილი იქნება.

დღეს ჩვენი უმთავრესი იმედი გიორგი გოგშელიძე და არანაკლები ფალავანი რევაზ მინდორაშვილი შეეცდებიან ოქროების მოხვეჭას. მესმის, რომ ახლა, როცა გაზეთს კითხულობთ, ჩვენს ფალავნებს ბრძოლა უკვე დაწყებული აქვთ, მაგრამ მაინც ვიტყვი წილისყრაზე.

სათქმე კი ის არის, რომ, ერთი შეხედვით, ცუდი კენჭისყრა არც ერთ მათგანს არ აქვს. ყველანი ქართულ-რუსული დაპირისპირების მოლოდინში ვართ, რომელიც, თუ რამ მოულოდნელი არ მოხდა, მინდორაშვილი-კეტოევი ნახევარფინალში, ხოლო გოგშელიძე-მურადოვი ფინალში უნდა შედგეს.

ისე კი ნიშანდობლივია, რომ პეკინი 2008-ზე ქართულ-რუსული გზები ორჯერ გადაიკვეთა და ორთავეჯერ გამარჯვებულები ჩვენ აღმოვჩნდით. ჯერ იყო და, საქა-რთველომ ჩატოვა ჯგუფში რუსი პლაჟის ფრენბურთელი ქალები, შემდეგ კი ირაკლი ცირეკიძემ გადაუღობა გზა პერშინს...

განთქმული ამერიკელი ფალავანი უძლეველად მიჩნეული კარელინის დამგდები რულონ გარდნერი, რომელიც პეკინში ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხისთვის მუშაობს, მოულოდნელად ჭიდაობის დარბაზიდან პრესცენტრისკენ მიმავალ ავტობუსში დავინახე. რა თქმა უნდა, გამოველაპარაკე.

— OH, GEORGIA! რა ხდება თქვენთან საქართველოში? შეიცვალა ვითარება უკეთესობისკენ? — მეკითხება ის.

— შედარებით კი, თუმცა ვითარება კვლავ დაძაბულია — ვპასუხობ.

— ნამდვილად არასასიამოვნო, უფრო მეტიც, საშინელი ამბები დატრიალდა თქვენს ქვეყანაში, რაზეც მხოლოდ უარყოფითი შეფასების გაკეთება შემიძლია. მე პოლიტიკოსი არ ვარ და ამ ყველაფერს პოლიტიკური კუთხით ვერ განვსჯი, თუმცა ადამიანურად ამის გამართლება შეუძლებელია.

— კარელინთან იმ ლეგენდარულ ბრძოლას როგორ გაიხსენებთ?

— ის ნამდვილად ფანტასტიკური ფინალი და დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. კარელინი შეუდარებელი სპორტსმენი იყო, დღესაც ვერ დამიჯერებია, რაიმე მისი დამარცხება და ჰეგემონიის შეწყვეტა შევძელი.

— ქართველ სპორტსმენებზე რას იტყვით, გსმენიათ რამე?

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ის კი რა თქმა უნდა ვიცი, რომ პეკინში ორი ოქროს მედალი მოიპოვეთ. გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს. ეხლა კი მაპატიეთ, უნდა დაგემშვიდობოთ.

მეც პრესცენტრს მივაშურე...



რუსეთის არ იყოს, კარელინიც დაუმარცხებელი ეგონათ, გარდნერმა კი ეს შეძლო

გიორგი გოგშელიძისგან ჩვენ ოქროს ველით!

ბრინჯაო, რომელიც ტკივილს აამებს გორელი ბიჭის გულის წამალი



პეკინში ქართულ დელეგაციას კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი შეემატა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიდან გუშინ ოთარ თუშიშვილი (66კგ) და გელა საღირაშვილი (74კგ) ჭიდაობდნენ და თუშიშვილმა საქართველოს ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

ნინო სალუქვაძის, მანუჩარ კვირკველიას და ირაკლი ცირეკიძის შესანიშნავი გამოსვლის მერეც ვწერდით, რომ თითოეული მედალი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაშინ, როცა რუსის ჩექმა ისევ ქართულ მიწაზე დაბრახუნებს და რუსული ტანკი ყველაფერს თელავს, ხალხს ცრემლი ჯერაც არ შეშრობია და ქვეყანაში გლოვაა, ამ მედალს სხვა დატვირთვა აქვს. ეს იმედია, რწმენაა, მტრისთვის ქართული სულის და ჯიგრის კიდევ ერთხელ შეხსენებაა... ისიც არ დაგავიწყდეთ, ოთარ თუშიშვილი გორელი ბიჭია. იმ ქალაქში მცხოვრები, რომელიც რუსებმა მიწასთან გაასწორეს. ახლა ეს გამარჯვება მალამოსავით ედება დაჭრილ გულებს და ტკივილს ცოტათი მაინც აამებს. ეს ცოტა ახლა, ქართველი კაცისთვის ძალიან ბევრია...

ოთარმა პირველ წრეში დაისვენა, მერვედფინალში კი იაპონელ კაზუჰიკო იეკემაცუს დაეჭიდა და მცირე უპირატესობით მოუგო. სამაგიეროდ, მეოთხედფინალში უფრო დამაჯერებლად წაქცია ბულგარელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სერაფიმ ბარზაკოვი და ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ასევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, გამოცდილ მოჭიდავეს თურქ რამაზან შაჰინს დაუდგა.

უშელავათო ორთაბრძოლაში თურქმა გაიმარჯვა და მერე უკრაინელი ანდრეი სტადნიკის ძლევით სულაც ჩემპიონი გახდა.

თუშიშვილმა კი ბრინჯაოს ფინალში კუბელი გენდრი გარზონი 3:0, 1:1 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოგვიტანა.

უმედლოდ დაგვირჩა გელა საღირაშვილი, ვისაც ურიგო ბადე ნამდვილად არ ჰქონია. პირველი წრე გამოტოვა და მერვედფინალში გვინეა ბისაუს აუგუსტო მიდანა დაჩაგრა. თუმც მერე მეოთხედფინალში ბელარუს მურად გაიდაროვთან წააგო. ნახევარფინალში ბელარუსი უზბეკ სოსლან ტიგიევთან წაიქცა და საღირაშვილს ბრინჯაოს შანსიც მოუსპო.

დღეს ჩვენი თავისუფლები ოლიმპიადას დასრულებენ. პეკინურ ხალიჩაზე რევაზ მინდორაშვილი (84კგ) და გიორგი გოგშელიძე (96კგ) იჭიდავებს და გვჯერა, რომ მედლების ყულაბა დაგვიმძიმდება...

ნიკა კოპაძე

ქართველი ბრაზილიელები ბრაზილიელ ბრაზილიელებს...

ქართულ პლაჟბურთელთა წყვილმა გეორ-გიამ ნახევარფინალში ვერაფერი მოუხერხა ამერიკულ დუეტს როჯერს-დალჰაუზერს, რომელიც ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი და ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. ამასთან ამერიკელები მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან.

რას ვიზამთ, ძალა აღმაროს ხნავს, ამ ეტაპზე ამერიკელების დამარცხება გვარიანად ძნელი საქმე იყო, მაგრამ აბა, ახლა გეორ-გიაზე აუგს ვინ იტყვის. ნახევარფინალში გასვლით ხომ მათ უდიდესი სენსაცია მოახდინეს და მსოფლიოც გააოცეს.

ჩვენმა ბრაზილიელებმა 42 წუთში 11:21, 13:21 დათმეს შეხვედრა, თუმც მედლის მოპოვების შანსი კიდევ აქვთ. ბრინჯაოს ფინალში მათი მეტოქე ბრაზილიელები, რიკარდო-ემანუელი იქნებიან. გეორ-გია მათ კარგად იცნობს, მეგობრობენ და ერთხანს ერთადაც ვარჯიშობდნენ. რიკარდო-ემანუელმა ნახევარფინალი მეორე ბრაზილიურ წყვილთან მარსიო არაუჯო-ფაბიო ლუიზთან 20:22, 18:21 დათმო.

ფინალი და მესამე ადგილისთვის შეხვედრები კი ხვალ გაიმართება და ეგებ გეორ და გიამ ბრინჯაოსაც გამოჭრან ხელი...

ნიკა კოპაძე

ოლიმპიადა უბრალო ტურნირად გვექცა...

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები პეკინიდან თბილისში დაბრუნდა. ძიუდოისტებიდან ჩინეთში მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე დარჩა. ის ოლიმპიადის დასრულებამდე ჩვენს სპორტსმენებს უგულშემატკივრებს და საქართველოს ძირითად დელეგაციასთან ერთად ჩამოვა. თბილისში მობრუნებული ფალავნებიდან საბა გავაშელიშვილს დავუკავშირდით და ოლიმპიურ ამბებზე ვკითხეთ...

— საქართველოში დატრიალებულმა უბედურებამ, რა თქმა უნდა, ჩვენზე ძალიან იმოქმედა. სულ ჩვენს ახლობლებზე ვფიქრობდით. ისეთი განწყობა გვქონდა, თითქოს ოლიმპიადა კი არა რაღაც უბრალო ტურნირი იყო. როგორც იცით, საქართველოში წამოსვლაც გადავწყვიტეთ, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ. ამ ყველაფერმა ჩვენს განწყობაზე იმოქმედა და საბოლოო ჯამში ჩვენს ჭიდაობაზეც.

— მეტოქეებიც ძლიერები შეგხვდნენ...

— კენჭისყრამ საშინლად არ გამიმართლა. იგივე შეიძლება, ითქვას ნესტორ ხერგიანზეც. პირველივე ორთაბრძოლა ევროპის ჩემპიონ ჟოაო ნეტოსთან მომიწია და დავმარცხდი. თავის მხრივ ჯგუფიდან გასვლა ვერც ნეტომ შეძლო და ამის გამო ბრინჯაოსთვის ბრძოლა ვერ გავაგრძელე. აქამდე ამბობდნენ 81 კილოგრამიანებში ზოგადად სუსტი მოჭიდავეები არიანო. ამ ოლიმპიადამ სულ საპირისპირო დაადასტურა. ვფიქრობ, ჩვენი წონა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითია.

— რას იტყვით ირაკლი ცირეკიძის გამოსვლაზე...

— ირაკლი ცირეკიძის დარი მოჭიდავე შეიძლება საქართველოს არც კი ჰყოლია. მან ბრწყინვალედ ჩაატარა ოლიმპიადა. არიან ძიუდოისტები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები ხდებიან, მაგრამ ოლიმპიადაზე ველარაფერს აკეთებენ, თუმც პირიქითაც ხდება ხოლმე. ცირეკიძემ ორივე ტიტულის მოგება შეძლო. ის გენიალური მოჭიდავეა.

— რა გითხრათ შოთა ხაბარელმა თქვენი მარცხის შემდეგ?

— ისეთი არაფერი, მაგრამ მე ვიცი, რომ მისი იმედი ვერ გავამართლე. ვფიქრობ, მომავალში ყველაფრის გამოსწორებას შევძლებ.

ზურაბ მიგრიაული

ქვეყნები და მედლები

ჩინეთი	45	14	20	79
აშშ	26	28	28	82
დიდი ბრიტანეთი	16	10	11	37
რუსეთი	13	14	18	45
ავსტრალია	11	12	13	36
გერმანია	11	8	9	28
სამხრეთ კორეა	8	10	6	24
იაპონია	8	6	9	23
იტალია	6	7	7	20
უკრაინა	5	5	8	18
საფრანგეთი	4	12	14	30
ჰოლანდია	4	5	4	13
იამაიკა	4	3	-	7
რუმინეთი	4	1	3	8
ესპანეთი	3	5	2	10
პოლონეთი	3	4	1	8
ახ. ზელანდია	3	1	5	9
სლოვაკეთი	3	1	-	4
კანადა	2	6	5	13
კენია	2	4	2	8
ბელარუსი	2	3	8	13
ჩეხეთი	2	3	-	5
დანია	2	1	3	6
ჩრდ. კორეა	2	1	3	6
ეთიოპია	2	1	-	3
შვეიცარია	2	-	3	5
საქართველო	2	-	2	3
კუბა	1	6	6	13
ყაზახეთი	1	3	4	8
ზიმბაბვე	1	3	-	4
აზერბაიჯანი	1	2	2	5
ნორვეგია	1	2	2	5
სლოვენია	1	2	2	5
თურქეთი	1	2	1	4
ინდონეზია	1	1	3	5
ბულგარეთი	1	1	3	5
ფინეთი	1	1	1	3
ესტონეთი	1	1	-	2
მონღოლეთი	1	1	-	2
ტაილანდი	1	1	-	2
ბრაზილია	1	-	5	6
არგენტინა	1	-	1	2
ინდოეთი	1	-	1	2
მექსიკა	1	-	1	2
ბაჰრეინი	1	-	-	1
კამერუნი	1	-	-	1
პანამა	1	-	-	1
ტუნისი	1	-	-	1
უნგრეთი	-	4	1	5
შვედეთი	-	3	-	3
უზბეკეთი	-	2	3	5
ავსტრია	-	1	2	3
საბერძნეთი	-	1	2	3
ლიტვა	-	1	2	3
ალჟირი	-	1	1	2
კოლუმბია	-	1	1	2
ხორვატია	-	1	1	2
ყირგიზეთი	-	1	1	2
სერბეთი	-	1	1	2
დომენიკის რესპ.	-	1	-	1
ჩილე	-	1	-	1
ეკვადორი	-	1	-	1
მალაიზია	-	1	-	1
პორტუგალია	-	1	-	1
სინგაპური	-	1	-	1
სამხ. აფრიკა	-	1	-	1
ტრინ. და ტობაგო	-	1	-	1
ვიეტნამი	-	1	-	1
სომხეთი	-	-	5	5
ტაივანი	-	-	3	3
ავღანეთი	-	-	1	1
ეგვიპტე	-	-	1	1
ისრაელი	-	-	1	1
ვენესუელა	-	-	1	1
ირანი	-	-	1	1
ლატვია	-	-	1	1
მაროკო	-	-	1	1
ტაჯიკეთი	-	-	1	1
ტოგო	-	-	1	1

ავსტრალია მატარებელს გადაუდგა

საუკეთესო თამაშის საუკეთესო მოთამაშე მანუ ჯინობილი

მეოთხედფინალი

ესპანეთი 72:59 ხორვატია

ესპანეთი: გასოლი (20 ქულა, 10 მოხსნა), რეიესი (13), კალდერონი (10)
ხორვატია: ბანიჩი (15), პლანინიჩი (12)

რიგიანი გუნდი ჰყავთ ხორვატებს და ჩვენი დღევანდელობიდან გამომდინარე, დიდადაც გაგვახარეს, ავსტრალიასთან ერთად რუსეთი რომ ჩატოვეს ჯგუფში, მაგრამ მეოთხედფინალი მათი მაქსიმუმი იყო და ნახევარფინალში რომ აღარა ესაქმებოდათ, ეს ესპანეთთან შეხვედრის პირველივე წუთებზე გამოჩნდა.

მსოფლიოს ჩემპიონებს საქმე არ გაუჭიანურებიათ, თავიდანვე სერიოზულად შეუდგნენ მეტოქის გადაძალვას. ესპანელთა წოწოლა ლიდერმა პაუ გასოლმა პირადად 9 ქულა გააკეთა და საწყისი 6 წუთი 12:1 მოაგებინა თავისიანებს. ხორვატებმა კი თამაშიდან პირველი ბურთი მხოლოდ მეშვიდე წუთზე ჩააგდეს და რა გასაკვირია, მთელი მატჩი სტატისტი მდევრების როლში რომ ჩაათამაშეს. მერე სამქულიანებით სცადეს ჩამორჩენის აღმოფხვრა, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს, ხოლო ესპანეთმა მეორე მეოთხედში მცირედ წაუძინა, მესამე ათწუთეული კი 10:2 გაქცევით დაიწყო და 19 ქულით დაწინაურების შემდეგ თამაშს ინტრიგა გამოეცალა.

ესპანეთს საკმაოდ კარგი ბადე შეხვდა, ნახევარფინალში გოროზ აშშ-საც ასცდა და ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინასაც, მისი მომდევნო მეტოქე ლიტვა ტრადიციულად ბასრი გუნდი კია, მაგრამ ამ ორთან შედარებით ადვილად დასაძლევიც.

ლიტვა 94:68 ჩინეთი

ლიტვა: იასიკევიჩუსი (23), შიშკაუსკასი (16), კლეიზა (15)
ჩინეთი: მინი (19), ძიანლიანი (11), ლიუ (10)

ჯგუფში დირკ ნოვიცკის გერმანის მძლეველმა ჩინელებმა მეოთხედფინალშიც სცადეს საკუთარი „მეს“ გატანა, მაგრამ კალათბურთი ხომ მაგიდის ჩოგბურთი არაა და მთლად ლიტველებივით რომ ვერ იბურთავეს, უფრო ძლიერს დაუთმეს ნახევარფინალისკენ გზა.

არადა, თავიდან თამაში საკმაოდ თანაბარი იყო. ლიტველი იონას კაზლაუსკასის გაწვრთნილი ჩინელები ცდილობდნენ, ტოლი არ დაედოთ დამრიგებლის თანამემამულეებისთვის. იი ძიანლიანმა წყვილი საჯარიმოებით 13:12 გაალიდერა ოლიმპიადის მასპინძლები, მერე კი ლიუ ვეიმ და იაო მინმა 17:14 დააწინაურეს კიდეც, მაგრამ მათი „გამოხდომა“ დროულად აღკვეთეს ლიტველებმა. მათ მეოთხედი 19:17 მოიგეს, ტაიმის ბოლოს 11 ქულით წინ გავიდნენ და მესამე მეოთხედში აბობოქრებულ იაო მინს ხელებში იმდენჯერ ჩაარტყეს, რომ ჩინელებს ლამის ყველა შეტევა წაუხდინეს. მართალია, იაო მინმა თავისი 2,26-სანტიმეტრიანი სიმაღლიდან ათი საჯარიმოდან ათივე გამოიყენა, მაგრამ მოგებული ხომ მაინც ლიტველები დარჩნენ, თან ისე, რომ ჩინელებისთვის სინანულის საბაბი არ მიუციათ — ეს რომ ჩაგვეგდო, ან იმათ ის რომ არ ჩაეგდოთ, გერმანიას ლიტვასაც ზედ მივაყოლებდითო.

აშშ 116:85 ავსტრალია

აშშ: ბრაიანტი (25), ჯეიმსი (16), ენტონი (15), უილიამსი (10), ბოში (10)
ავსტრალია: მაილზი (20), სვეილი (13), ინგლზი (11), ნიუბლი (10)

ამერიკელებმა მეოთხედფინალიც ისევე რიხირით გაიარეს, როგორც ჯგუფური ეტაპი. ავსტრალიელებმა სცადეს ამ მატარებლის წონის გუნდს წინ გადასდგომოდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მხოლდ პირველ ტაიმში შეძლეს, როცა მთელ მოედანზე დინგო-ძაღლებივით დარბოდნენ და ცხოვრებას ურთულებდნენ გოროზ მეტოქეებს. მაგრამ მეორე ტაიმში მათი აგრესიული თამაშიდან არასათამაშო აგრესიულობაღა დარჩა, „ოცნების გუნდი“ კი წინ გაიჭრა და მორიგი დამაჯერებელი გამარჯვებით მიადგა ნახევარფინალს, სადაც გაცილებით ღონიერ არგენტინასთან და მის თილისმა მანუ ჯინობილისთან მოუწევს თავისი ძლიერების დამტკიცება.

ამერიკელთა შორის საუკეთესოები მათი მთავარი ვარსკვლავები კობი ბრაიანტი და ლებრონ ჯეიმსი იყვნენ. ამათ ინდივიდუალური თამაშის წყალობით ფავორიტებმა მეორე ტაიმი 14:0 გაქცევით დაიწყეს და პირველის მხოლოდ 12 ქულით მოგების შემდეგ მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინეს. შუა მატჩში გადავწყვიტეთ, დაცვიდან გვეთამაშა და ეს ჩანფიქრი ისე კარგად შევასრულეთ, რომ მგონი კითხვები აღარ დავტოვეთო — ნამატჩევს ამბობდა 25 წუთში 25 ქულის გამკეთებელი ბრაიანტი.

ავსტრალიელები კი არც გაწბილებულები ჩანდნენ და არც კმაყოფილები (ერთ ტაიმში კარგი თამაში კარგ სპორტსმენს როგორ დააკმაყოფილებს?). კი ვიცოდით, ვისაც ვხვდებოდით, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი ვცადეთო.

არგენტინა 80:78 საბერძნეთი

არგენტინა: ჯინობილი (24), დელფინო (23), ნოჩიონი (12), სკოლა (11)
საბერძნეთი: ფოცისი (17 ქულა, 11 მოხსნა), ცარცარისი (13), ბურუსისი (12), ვასილოპულოსი (10)

ოლიმპიადის ლაზათი და მშვენება! პეკინში ასეთი საკალათბურთო მატჩი ჯერ არ გამართულა. ნახევარფინალის საგზურისთვის ორი სრულად ტოლძალოვანი ნაკრები დაეტაკა ერთმანეთს და წინა სამისგან განსხვავებით ეს არ იყო ერთის მიერ მეორეს ჩაგვრა. ეს იყო პირველიდან უკანასკნელ წამამდე თანაბარი, ქულა-ქულაში მიმდინარე თამაში, სადაც 15-ჯერ შეიცვალა ლიდერი.

არგენტინელები ალბათ მაინც უფრო მეტად იმსახურებდნენ მოგებას. განა ბერძნები ცუდად თამაშობენ, მაგრამ სამხრეთამერიკელებს მსოფლიოში ალბათ ყველაზე ეშხიანი გუნდი ჰყავთ, რომელმაც სანახაობის დადგმაც იცის და არც პრაგმატიკა აკლია.

ბოლო მეოთხედში ერთთავად არგენტინა ლიდერობდა, საბერძნეთი კი კუდში მიყვებოდა და თავის შანსს ელოდა, მაგრამ ამაოდ, არგენტინა ოქროს ხელებით და მტკიცე ნერვებით მიიბრძოდა ნახევარფინალისკენ. დასაკვნით 10-წუთეული ახალი დაწყებული იყო, როცა არგენტინელმა კარლოს დელფინომ სასწაულების კეთება იწყო — სამიანს სამიანზე აგდებდა და ერთ ხანობა 7 ქულით დააწინაურა თავისიანები, თუმც უქმად არც ბერძნები იდგნენ და მას პასუხი სამიანებითვე გასცა ანტონის ფოცისმა. მეოთხედის შუაწელს ანგარიში 68:68 გათანაბრდა და ახლა მანუ ჯინობილიმ იწყო ბერძნების კალათის დაბომბვა. არგენტინა ხუთი ქულით დაწინაურდა და ეს თითქოს დასასრული იყო, მაგრამ საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე ვასილოპულოსმა ფარიდან ასხლეტით ჩააგდო სამიანი და 78:80 მიაახლოვა საბერძნეთი მეტოქეს. ჯინობილიმ ბოლომდე გაიყვანა შეტევისთვის კუთვნილი დრო, მაგრამ სამიანი ააცილა და ბერძნებს შანსი უბოძა, მაგრამ სპანულისმაც ააცილა და ბურთისთვის სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ბოლოს არგენტინელთა კაპიტანმა ლუის სკოლამ სამ ბერძენთან ბრძოლაში მოხსნა ბურთი ზედახორში მისი შენარჩუნებაც შეძლო და დროც ამოიწურა. ნახევარფინალში გავიდა მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი არგენტინა, სადაც აშშ-ს სუპერგუნდს წარუდგება.

„ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით როგორ ვითამაშოთ ასეთი მატჩები. ჩვენ არასდროს დავიღლებით ჩვენი კარგი-გუნდობით“ — ასე საუბრობდა გამარჯვებულთა ერთ-ერთი ლიდერი ანდრეს ნოჩიონი.

„ამერიკელებს ამ ტურნირზე საუკეთესო გუნდი ჰყავთ. მათ ბევრი რამ შეცვალეს ბოლო წლებთან შედარებით, მაგრამ ისე თუ ვითამაშებთ, როგორც აქამდე ვთამაშობდით, შანსი ჩვენც გვექნება — ამბობდა არგენტინელთა ვეტერანი ცენტრი ფაბრიციო ობერტო, რომელმაც ოთხი წლის წინ ათენში ბერძნებთან შეხვედრაც გაიხსენა — მაშინ თითი მოვიტეხე. მაგრამ თუ ვიმე მომავალს გადამიშლის და დამარწმუნებს, რომ ამ ოლიმპიადასაც ჩვენ მოვიგებთ, თანახმა ვარ, ისევ მოვიტეხო თითი.“

ირაკლი ფირაშვილი

22 აგვისტო. ნახევარფინალი
ესპანეთი — ლიტვა; აშშ — არგენტინა

19,30!!! ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲛ ᲩᲘᲩᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲤᲠᲘᲜᲐ

ᲓᲔᲓᲐ, რა იყო ეს?! ადამიანი იყო, თუ ადამიანის სხეულში ჩასახლებული ქარი? განა შეიძლება ადამიანი თავისი ორი ფეხით ასე სწრაფად გადაადგილდებოდეს მიწაზე? აღმოჩნდა რომ შეიძლება და ამის შემძლეა ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, რამდენადმე მაღალი იამაიკელი ბიჭი, რომელიც არაჩვეულებრივად სწრაფად დარბის.

20 აგვისტოს უსაინ ბოლტმა „ჩიტის ბუდეში“ შეკრებილ 91 000 და ტელეეკრანში მის მაცქერალ მილიონობით მაყურებელს სასწაული ანახა — 200 მეტრი 19,30 წამში გაირბინა და მოხსნა 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე დამყარებული მაიკლ ჯონსონის 19,32-წამიანი რეკორდი, რაც მაშინვე მარადიულად შეირაცხა და მთელი ეს წლები მას ახლოსაც კი ვერავინ ეკარებოდა, მაგრამ ერთ ლეგენდას მეორემ აჯობა. ბოლტის ეს უნიკალური მიღწევა ჯერ კიდევ ცხელ-ცხელია და მის გამაზრებლებს გონებას წვავს, მაგრამ ეჭვიც არაა, რომ ჩვენ გუშინ ლეგენდას ვუყურებდით. რომელიც, სხვათა შორის დღეს გახდა 22 წლის.

სამი დღის წინ ბოლტმა 100 მეტრზეც ახალი რეკორდი დაამყარა — 9,69 წამი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, მაიკლ ჯონსონსაც რომ შეეხებოდა? საჩუქარიც ასეთი უნდა, მან საკუთარ თავს რომ გაუკეთა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ
TELECOM GEORGIA

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ
ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲖᲔ

10% - ᲓᲐᲜ 30% - ᲛᲓᲔ

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ **ᲝᲠᲘ** ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲨᲘ“
ᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ - ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲠᲔᲙᲐᲕᲗ (ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ)
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ - ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗ, ᲕᲘᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘᲗ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ (ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲜ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ)

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ:
ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ - **442020** (ᲓᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ)
ᲐᲜ
ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ.

ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ **8-10**-ᲘᲗ

www.telecom.ge

კვარცხლბეკი

აფროსნობა

ქალები. ვინდსერფი

1. იან ინი (ჩინეთი)	39
2. ალესანდრა სენსინი (იტალია)	40
3. ბრიონ შოუ (დიდი ბრიტანეთი)	45

კაცები. ვინდსერფი

1. ტომ ეშლი (ახალი ზელანდია)	52
2. ჟელიენ ბორტეშსი (საფრანგეთი)	53
3. შაჰარ ზუბარი (ისრაელი)	58

ცურვა ღია წყალში

ქალები. 10კმ

1. ლარისა ილჩენკო (რუსეთი)	1:59.27,7
2. კერი-ენ პეინი (დიდი ბრიტანეთი)	1:59.29,2
3. კასანდრა პეტინი (დიდი ბრიტანეთი)	1:59.31,0

თავისუფალი ჭიდაობა

კაცები. 66კგ

1. რამაზან საპინი (თურქეთი)
2. ანდრეი სტადნიკი (უკრაინა)
3. ოთარ თუშიშვილი (საქართველო)
3. სუში კუმარი (ინდოეთი)

კაცები. 74 კგ

1. ბუვაისა საიტიევი (რუსეთი)
2. სოსლან ტოგიევი (უზბეკეთი)
3. კირილ ტერციევი (ბულგარეთი)
3. მურად გაიდაროვი (ბელარუსი)

სინქრონული ცურვა

წყვილები

1. ანასტასია ერმაკოვა, ანასტასია დავიდოვა (რუსეთი)	99,251
2. ზემა მენხუალი, ანდრეა ფუენტესი (ესპანეთი)	98,334
3. საო ჰარადა, ემიკო სუძუკი (იაპონია)	97,167

მძლეოსნობა

ქალები. 400 მ თარჯრბენი

1. მელანი უოლკერი (იამაიკა)	52,64
2. შინა ტოსტა (აშშ)	53,70
3. ტაშა დანვერსი (ბრიტანეთი)	53,84

ქალები. ურიოს ტყორცნა

1. ოქსანა მიანკოვა (ბელარუსი)	76,34
2. იფსი მორენო (კუბა)	75,20
3. ჟექსიუ იანგი (ჩინეთი)	74,32

კაცები. 200 მ

1. უსაინ ბოლტი (იამაიკა)	19,30
2. შონ კროუფორდი (აშშ)	19,96
3. უოლტერ დიქსი (აშშ)	19,98

ტაეკვანდო

ქალები. 49 კგ

1. იუნ იუ ვუ (ჩინეთი)
2. ბუტრი პუედონგი (ტაივანდი)
3. დუენელის მონტეხო (კუბა)
3. დალია კონტრერას რივერი (ვენესუელა)

კაცები. 58 კგ

1. გილერმო პერესი (მექსიკა)
2. იულის გაბრიელ მერსედესი (დომინკ. რესპუბლიკა)
3. მუ ენ ჩუ (ტაივანი)
3. როჰულაჰ ნიკაი (ავღანეთი)

ახალზელანდიელმა ბეგროსანმა ტომ ეშლიმ ოქროს მედალი მოიპოვა

კალათბურთი

კაცები. მეოთხედფინალი

ესპანეთი — ხორვატია 72:59; ლიტვა — ჩინეთი 94:68; აშშ — ავსტრალია 116:85; არგენტინა — საბერძნეთი 80:78

ფრენბურთი

კაცები. მეოთხედფინალი

რუსეთი — ბულგარეთი 3:1 (20:25, 25:16, 25:22, 25:21); იტალია — პოლონეთი 3:2 (25:19, 25:22, 18:25, 26:28, 17:15); ბრაზილია — ჩინეთი 3:0 (25:17, 25:15, 25:16); აშშ — სერბეთი 3:2 (25:20, 23:25, 25:21, 25:18, 15:12)

ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის VII ტური

კუბა — ჩინეთი 17:1; სამხრეთ კორეა — ჰოლანდია 10:0; კანადა — ტაივანი 6:5; აშშ — იაპონია 4:2

სამხრეთ კორეა 7 მოგება; კუბა 6; აშშ 5; იაპონია 4; კანადა, ტაივანი 2-2, ჩინეთი, ჰოლანდია 1-1

ბალახის ჰოკეი

ქალები. ნახევარფინალი

ჩინეთი — გერმანია 3:2; ჰოლანდია — არგენტინა 5:2

სოფბოლი

ნახევარფინალი

აშშ — იაპონია 4:1; ავსტრალია — კანადა 5:3

ხელბურთი

კაცები. მეოთხედფინალი

ისლანდია — პოლონეთი 32:30; საფრანგეთი — რუსეთი 27:24; ხორვატია — დანია 26:24; სამხრეთ კორეა — ესპანეთი 24:29

წყალბურთი

კაცები. რეპეშაჟი

ნორვეგია — ხორვატია 7:6; სერბეთი — ესპანეთი 9:5

ფრანგი ნიკოლა კარაბატიჩი რუსმა ხელბურთელებმა ვერ შეაჩერეს

თამაშების განრიგი

21 აგვისტო. ხუთშაბათი

მძლეოსნობა

ქალები — შუბის ტყორცნა — ფინალი
ქალები — 200მ — ფინალი
ქალები — 200 კმ სპორტული სიარული — ფინალი
ქალები — სიმაღლეზე ხტომა — კვალიფიკაცია
ქალები — 1 500 მ — ნახევარფინალი
ქალები — 4X100 მ — კვალიფიკაცია
კაცები — 400 მ — ფინალი
კაცები — სამხტომი — ფინალი
კაცები — 110 მ თარჯრბენი — ფინალი
კაცები — ათჭიდი (100 მ, სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა, 400 მ),
კაცები — შუბის ტყორცნა — კვალიფიკაცია
კაცეი — 800 მ — ნახევარფინალი
კაცები — 4X100 მ — კვალიფიკაცია

კალათბურთი

ქალები — ნახევარფინალი

პლაჟის ფრენბურთი

ქალები — ფინალი

ფრენბურთი

ქალები — ნახევარფინალი

ბაიდარა და კანოე

ქალები — ერთადგილიანი ბაიდარა, 500 მ — ნახევარფინალი
ქალები — ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ — ნახევარფინალი
კაცები — ერთადგილიანი ბაიდარა, 500 მ — ნახევარფინალი
კაცები — ერთადგილიანი კანოე, 500 მ — ნახევარფინალი
კაცები — ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ — ნახევარფინალი
კაცები — ორადგილიანი კანოე, 500 მ — ნახევარფინალი

ველორბოლა. BMX

ქალები — ფინალი
კაცები — ფინალი

წყალში ხტომა

ქალები, პირადი — 10-მეტრიანი კოშკი — ფინალი

ფეხბურთი

ქალები — ფინალი

მხატვრული ტანვარჯიში

პირადი — კვალიფიკაცია
გუნდური — კვალიფიკაცია

ხელბურთი

ქალები — ნახევარფინალი

ბალახის ჰოკეი

კაცები — ნახევარფინალი

თანამედროვე ხუთჭიდი

კაცები — ფინალი

აფროსნობა

კაცები — ვარსკვლავი — ფინალი
მიქსტი — ტორნადო — ფინალი

სოფტბოლი

ფინალი

ცურვა (ღია წყალში)

კაცები — 10 კმ — ფინალი

წყალბურთი

ქალები — ფინალი

მაგიდის ჩოგბურთი

ქალები, პირადი — მეოთხე წრე, მეოთხედფინალი
კაცები, პირადი — მესამე და მეოთხე წრე

ტაეკვანდო

ქალები — 57 კგ — ფინალი
კაცები — 68 კგ — ფინალი

თავისუფალი ჭიდაობა

კაცები — 84 კგ — ფინალი
კაცები — 96 კგ — ფინალი
კაცები — 120 კგ — ფინალი



ობიექტი



უკრაინელი სიგრძეზე მხტომელი ლუდმილა ბლონსკა აი, ასე ამოიგანგლა ქვიშაში. ეს ფოტო კი იმიტომ მოხვდა ჩვენი თვალთახედვის არეში, რომ რაღაც ვერ ვიხსენებთ, მხტომელები აქამდე ზედხედიდან გადაეღოთ ფოტოგრაფებს.

ავსტრალიელმა ანა მაერსმა თავი მიაბრუნა და მისთვის საამო რამ დაინახა: ველონახევარფინალში მეტოქე ჩინელი ჩუანგ გოუ ველოსიპედიდან გადმოვარდნილა. ჩინელს არაფერი დაშავებია, ავსტრალიელმა კი, ცხადია, გარბენი მოიგო.

პლაჟის ფრენბურთის ნახევარფინალში ორი ჩინური წყვილი შეხვდა. გამარჯვება ჟია ტიანს და ჟია ვანგს დარჩათ. მოიგეს და, აი, ასე ეხვევიან ერთმანეთს.

სელმა დე გრასა სუარეს ბონფინი სან ტომესა და პრინსიპს წარმოადგენს პეკინის ოლიმპიადაზე. აი, როგორ წარმოადგენს, ეს სხვა საქმეა. 5 ათას მეტრზე სირბილში ეს გოგო ბოლო ხომ მივიდა ფინიშზე და იქვე ჩაიკეცა დაღლილობისგან. როგორც წესია, მსაჯიც უმალ იქ გაჩნდა და გაარკვია, რომ სელმას ექიმთა დახმარება არ სჭირდებოდა.

ლერინ ფრანკო კი პარაგვაელი შუბის მტყორცნელია. რაიმე განსაკუთრებული შედეგებით ვერ დაიკვეხნის, ერთი ეგაა, რომ ახლო წარსულში მის პარაგვაის ტიტულს ფლობდა.

სარბიელი: კროკ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	2	ლივერპული-მიდლსბრო	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:30	3	ფულემი-არსენალი	5.70	3.50	1.60	2.16	1.24	1.09
18:00	4	ბლექბერნი-ჰალი	1.70	3.40	5.00	1.13	1.26	2.02
18:00	5	ნიუკასლი-ბოლტონი	1.70	3.40	4.75	1.13	1.25	1.98
18:00	7	ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	8	ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	9	სტოკი-ასტონ ვილა	4.60	3.40	1.75	1.95	1.26	1.15
		24 აგვისტო						
19:00	1	სიტი-ვესტ ჰემი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
16:30	6	უიგანი-ჩელსი	6.50	4.00	1.45	2.47	1.18	1.06
		25 აგვისტო						
23:00	10	პორტსმუთი-მანჩესტერი	4.70	3.40	1.75	1.97	1.27	1.15
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		23 აგვისტო						
18:00	11	ნოტინგემი-უოტფორდი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
20:20	12	პლიმუთი-სუონსი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
18:00	13	ქპრ-დონკასტერი	1.65	3.50	4.75	1.12	1.22	2.01
18:00	14	ბირმინგემი-ბარნსლი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:00	15	უენსდი-პრესტონი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	16	ბლეკპული-შეფილდი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
18:00	17	კარდიფი-ნორვიჩი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
15:45	18	ჩარლტონი-რიდინგი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	19	ქოვენთრი-ბრისტოლი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:00	20	კრისტალ პალასი-ბარნლი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	21	დერბი-საუთჰემპტონი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
18:00	22	იფსვიჩი-ვულვერჰემპტონი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		ინგლისი. I ლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	23	სკანთორპი-პიტერბრო	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
22:45	24	საუთენდი-ბრაიტონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	25	სუინდონი-კოლჩესტერი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
18:00	26	როვერსი-ჰერეფორდი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
16:00	27	იოვილი-ლიდსი	3.40	3.20	2.05	1.64	1.27	1.24
18:00	28	ქრიუ-უელსოლი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	29	ჰარტლპული-სტოკპორტი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:00	30	ჰადერსფილდი-დონსი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:00	31	ლესტერი-ტრანმერი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
18:00	32	ლეიტონი-კარლაილი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	33	ნორთჰემპტონი-მილუოლი	2.05	3.20	3.45	1.24	1.28	1.66
18:00	34	ოლდემი-ჩელტენემი	1.70	3.50	4.35	1.14	1.22	1.93
		ინგლისი. II ლიგა						
		23 აგვისტო						
15:00	35	გრიმსბი-ჩესტერფილდი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	36	აკრინგტონი-მაკლესფილდი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	37	ბარნეტი-ბრენტფორდი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	38	ბორნმუთი-ექსეტერი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
18:00	39	ბრედფორდი-როჩდეილი	2.00	3.30	3.40	1.24	1.25	1.67
18:00	40	ბერი-მორეკომბი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
18:00	41	დაგ ენდ რედი-პორტ ვეილ	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
18:00	42	დარლინგტონი-ჯილინგემი	2.00	3.30	3.40	1.24	1.25	1.67
18:00	43	ლუტონი-ნოტსი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
18:00	44	როტერჰემი-ჩესტერი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
18:00	45	შრიუსბერი-ალდერშოტი	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
18:00	46	უიკომბი-ლინკოლნი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		ინგლისი. კონფერენსი						
		21 აგვისტო						
22:45	48	რექსემი-ოქსფორდი	2.10	3.40	3.30	1.29	1.28	1.67
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
15:30	92	აბერდინი-რეინჯერსი	4.50	3.60	1.65	2.00	1.20	1.13
18:00	93	სელტიკი-ფოლკირკი	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
18:00	94	ჰართსი-სტ.მირენი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
18:00	95	ინვერნესი-ჰიბერნიანი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	96	კილმარნოკი-ჰამილტონი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	97	მზერუელი-დანდი იუნაიტედი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	98	დანდი-მორტონი	1.55	3.80	5.00	1.10	1.18	2.15
18:00	99	დანფერმლაინი-ერდრი	1.60	3.70	4.70	1.11	1.19	2.07
18:00	100	ლივინგსტონი-კლაიდი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
18:00	101	პარტიკი-სტ.ჯონსტონი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	103	არბროთი-ისტ ფაიფი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
18:00	104	პიტერჰედი-ალოა	1.70	3.60	4.00	1.15	1.19	1.89
18:00	105	ქუინზ პარკი-ბრეჩინი	2.80	3.30	2.20	1.51	1.23	1.31
18:00	106	რეითი-სტრანრარი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
18:00	107	სტირლინგი-ეარი	2.75	3.40	2.25	1.52	1.23	1.35
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	108	ალბიონი-ბერიკი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	109	დამბარტონი-სტენჰაუზმური	2.00	3.40	3.20	1.25	1.23	1.64
18:00	110	ისტ სტირლინგი-ფორფარი	2.25	3.40	2.75	1.35	1.23	1.52
18:00	111	ელგინი-კუდენბითი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	112	მონტროუზი-ანანი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
17:30	113	ჰამბურგი-კარლსრუე	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
17:30	114	შტუტგარტი-ლევერკუზენი	2.00	3.30	3.60	1.24	1.28	1.72
22:30	115	ჰანოვერი-კოტბუსი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
17:30	116	ჰერტა-არმინია	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
17:30	118	დორტმუნდი-ბაიერნი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
17:30	119	ჰოფენჰაიმ-მონხენგლადბახი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
17:30	121	ვერდერი-შალკე	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
		24 აგვისტო						
19:00	117	ბოხუმი-ვოლფსბურგი	3.00	3.20	2.30	1.54	1.30	1.33
19:00	120	კიოლნი-აინტრახტი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60

შესაძლო ცვლილებები დაკაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		22 აგვისტო						
20:00	123	ფიურტი-ზტ.პაული	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
20:00	126	ოსნაბრიუკი-ფრაიბურგი	2.60	2.90	2.55	1.37	1.28	1.35
20:00	129	ფრანკფურტი-კობლენცი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
		24 აგვისტო						
16:00	124	ვეენი-დუისბურგი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
16:00	125	მიუნხენი 1860-მაინცი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
16:00	128	აუგსბურგი-ალენი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
16:00	130	ობერჰაუზენი-ინგოლშტადი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
16:00	131	ჰანზა-ალემანია	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
		25 აგვისტო						
22:15	127	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
		გერმანია. III ბუნდესლიგა						
		24 აგვისტო						
16:00	132	პადერბრონი-რეგენსბურგი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
16:00	133	ვერდერი მ-აუე	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
16:00	134	აალენი-ერფურტი	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
16:00	135	კარლ ცაისი-ემდენი	1.75	3.20	4.25	1.13	1.23	1.82
16:00	136	ბრაუნშვეიგი-ბაიერნი(მ)	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
16:00	137	დინამო-შტუტგარტი(მ)	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
16:00	138	ვუპერტალური-ოფენბახი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
16:00	139	უნ. ბერლინი-ბურგჰაუზენი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
16:00	140	დიუსელდორფი-უნტერჰახინგი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
16:00	141	კიკერსი-სენდჰაუზენი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
21:30	142	ალტახი-აუსტრია კერნტენი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
21:30	144	ზალცბურგი-რიდი	1.22	5.50	10.00	1.00	1.08	3.54
21:30	145	შტურმი-ლინცერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
21:30	146	მატერსბურგი-კაფენბერგი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		24 აგვისტო						
19:00	143	რაპიდი-აუსტრია	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
21:00	167	ლე ჰავრი-მარსელი	3.60	3.00	2.05	1.63	1.30	1.21
21:00	168	ლე მანი-სტ.ეტიენი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
23:00	169	ლიონი-გრენობლი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
21:00	170	მონაკო-კაენი	1.75	3.20	4.70	1.13	1.27	1.90
21:00	171	ნანსი-ტულუზი	1.85	3.10	4.20	1.15	1.28	1.78
21:00	173	სოშო-პსჟ	2.70	2.90	2.60	1.39	1.32	1.37
21:00	174	ვალენსიენი-ლორიანი	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
		24 აგვისტო						
23:00	166	ბორდო-ნანტი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	172	რენი-ლილი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
18:00	175	ოსერი-ნიცა	2.10	3.00	3.50	1.23	1.31	1.61
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		22 აგვისტო						
22:00	176	ბრესტი-სტრასბური	2.50	2.90	2.90	1.34	1.34	1.45
22:00	177	შატორუ-ამიენი	2.10	3.00	3.60	1.23	1.32	1.63
22:00	178	კლერმანი-ანჟე	2.00	2.90	3.95	1.18	1.32	1.67
22:00	179	დიჟონი-ტუარი	2.00	3.00	4.00	1.20	1.33	1.71
22:00	180	მეცი-ბულონი	1.55	3.40	6.70	1.06	1.25	2.25
22:00	181	ნიმი-ლანსი	4.00	3.00	1.90	1.71	1.28	1.16
22:00	182	რეიმსი-მონპელიე	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
22:00	183	სედანი-აიაჩო	1.90	3.00	4.30	1.16	1.31	1.76
22:00	185	ბასტია-გენგამი	1.85	3.10	4.50	1.15	1.31	1.83

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბელგია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
22:00	196	ანდერლეხტი-გენტი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
20:00	197	სტანდარდი-ვესტერლო	1.37	4.30	7.50	1.03	1.15	2.73
22:00	199	შარლერუა-რუზელარე	1.85	3.20	4.35	1.17	1.29	1.84
22:00	200	ლოკერენი-ტუბეკე	1.85	3.20	4.30	1.17	1.29	1.83
22:00	201	მუსკრონი-მეხელენი	2.15	3.20	3.25	1.28	1.29	1.61
22:00	202	კორტრაიკი-სერკლი	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
22:00	203	ბეერსხოტი-დენდერი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		24 აგვისტო						
20:00	198	მონსი-გენკი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
22:30	204	ბრიუგე-ვარეგემი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		22 აგვისტო						
23:30	220	გიმარაეში-სეტუბალი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		23 აგვისტო						
23:45	218	სპორტინგი-ტროფენსე	1.25	5.00	12.00	1.00	1.13	3.52
21:15	219	ფერეირა-ბრაგა	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
		24 აგვისტო						
22:15	215	პორტუ-ბელენენსეში	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
23:55	216	რიუ ავე-ბენფიკა	5.50	3.50	1.55	2.13	1.20	1.07
19:00	217	ამადორა-აკადემიკა	2.25	3.00	3.10	1.28	1.30	1.52
20:00	221	ნავალი-მარიტიმუ	2.40	3.00	2.85	1.33	1.30	1.46
20:00	222	ლეიშოეში-ნასიონალი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
		ჩეხეთი. II ლიგა						
		23 აგვისტო						
19:00	263	ფულნეკი-დუკლა პრაღა	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	264	კარვინა-მოსტი	3.00	2.90	2.25	1.47	1.28	1.26
19:00	265	სლოვაცკო-ოლომოუცი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	266	ჰრადეც კრალოვე-უსტი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
19:00	267	ოპავა-იჰლავა	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
19:00	268	ვიტკოვიცე-ჩასლავი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
19:00	269	სპარტა-ტრინეცი	2.15	2.90	3.20	1.23	1.28	1.52
19:00	270	ბოჰემიანსი(პრაღა)-სოკოლოვი	1.42	3.80	6.50	1.03	1.16	2.39
		სლოვაკეთი. I ლიგა						
		22 აგვისტო						
19:00	271	სტრედა-ბ.ბისტრიცა	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
18:30	276	პეტრჟალკა-კოშიცე	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
		23 აგვისტო						
21:00	272	ნიტრა-ტრნავა	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
21:30	273	ჟილინა-სლოვანი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
21:00	274	ზლატე მორავცე-რუჟომბეროკი	2.45	3.10	2.65	1.36	1.27	1.42
21:00	275	ტატრანი-დუბნიცა	1.75	3.20	4.35	1.13	1.24	1.84
		ხორვატია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
22:00	277	ჰაიდუკი-სლავენი	1.65	3.40	4.75	1.11	1.22	1.98
22:05	280	ზადარი-დინამო	5.50	3.60	1.50	2.17	1.17	1.05
		24 აგვისტო						
22:00	278	ხორვატია-რიეკა	2.55	3.10	2.55	1.39	1.27	1.39
18:30	279	ციბალია-ინტერი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	281	ვარტექსი-შიბენიკი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:00	282	ზაგრები-ოსიეკი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		23 აგვისტო						
22:00	304	სტაბეკი-ლინი	1.50	3.90	6.50	1.08	1.21	2.43
		24 აგვისტო						
22:00	302	ჰამ კამი-ფრედრიკსტადი	2.80	3.30	2.35	1.51	1.27	1.37

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	303	ვიკინგი-ლილესტრიომი	2.05	3.20	3.45	1.24	1.28	1.66
22:00	305	ბრანი-რუსენბორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
22:00	306	ტრომსიო-ალესუნდი	1.50	4.00	6.50	1.09	1.21	2.47
22:00	555	მოლდე-ბოდიო გლიმტი	1.85	3.50	3.85	1.21	1.24	1.83
		25 აგვისტო						
22:00	301	ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი	1.80	3.40	4.10	1.17	1.25	1.85
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		24 აგვისტო						
16:00	309	ჰიოდი-სტარტი	6.00	4.00	1.50	2.40	1.20	1.09
		შვედეთი. ალსვენსკა						
		23 აგვისტო						
18:00	315	ნორჩიოპინგი-გიოტებორგი	4.00	3.40	1.90	1.83	1.28	1.21
		24 აგვისტო						
20:00	316	ლიუნგსკილე-სუნდსვალი	2.35	3.30	2.85	1.37	1.28	1.52
20:00	318	იორებრო-ელფსბორგი	3.70	3.30	2.00	1.74	1.29	1.24
20:00	319	გაის-კალმარი	3.40	3.30	2.10	1.67	1.29	1.28
20:00	320	ჰალმსტადი-იურგორდენი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
		25 აგვისტო						
22:00	321	აიკ-ჰამარბი	2.35	3.20	3.00	1.35	1.31	1.54
21:00	322	მალმიო-ტრელებორგი	1.60	3.60	6.00	1.10	1.26	2.25
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		22 აგვისტო						
19:30	336	ლაჰტი-ტამპერე	2.10	3.30	3.30	1.28	1.28	1.64
		23 აგვისტო						
18:00	337	ჰაკა-ჰონკა	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		22 აგვისტო						
03:30	391	ატლეტიკო მნ-გოიასი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77

			1	X	2	1-X	1-2	X-2
03:30	392	პორტუგესა-ვასკუ და გამა	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
03:30	397	ფლამენგო-გრემიო	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		ესპანეთი. თასი						
		23 აგვისტო						
23:55	540	რეალი-ვალენსია	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		ჰოლანდია. თასი						
		23 აგვისტო						
20:00	447	პსვ-ფეიენოორდი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		იტალია. თასი						
		24 აგვისტო						
22:45	515	ინტერი-რომა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
		ოლიმპიადა. ფეხბურთი კაცები						
		22 აგვისტო						
15:00	525	ბრაზილია-ბელგია	1.30	4.50	8.20	1.00	1.12	2.90
		23 აგვისტო						
08:00	526	არგენტინა-ნიგერია	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		ოლიმპიადა. ფეხბურთი ქალები						
		21 აგვისტო						
14:00	498	გერმანია-იაპონია	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16
17:00	499	ბრაზილია-აშშ	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ოლიმპიადა. ხელბურთი ქალები						
		21 აგვისტო						
14:00	529	ნორვეგია-სამ კორეა	1.30	9.00	4.00	1.13	1.00	2.76
16:15	530	უნგრეთი-რუსეთი	3.80	8.00	1.30	2.57	1.00	1.11
		ოლიმპიადა. წყალბურთი ქალები						
		21 აგვისტო						
13:00	538	ავსტრალია-უნგრეთი	1.70	5.50	2.50	1.29	1.01	1.71
14:15	539	აშშ-ჰოლანდია	1.40	6.00	3.50	1.13	1.00	2.21

ტერ-მინატორი

თუ წააგებ, კაპიტანი გახდები

ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ჯონ ტერი მასზე სანადიროდ შემართულ ვიდეო და ფოტოკამერებს დამფრთხალი კურდღელივით გაურბოდა. „ჩელსის“ კაპიტანი შოკში იყო, რადგან არ ელოდა, ინგლისის ნაკრების სამკლავურს ისევ მას თუ ჩააბარებდნენ. შეგახსენებთ: ტერი სტივ მაკლარენის მწვრთნელობისას კაპიტნობდა ინგლისელთა ეროვნულ გუნდს, ეს კი ის ავადსახსენებელი ეპოქაა, როდესაც ხსენებულმა გუნდმა ევრო 2008-ის საგზური ვერ მოიპოვა... დიახ, ამის შემდეგ ტერი ყველაფერს ელოდა, გარდა იმისა, რომ ახალი თავკაცი ფაბიო კაპელო საამყო და საპასუხისმგებლო საქმეს კვლავ მას ანდობდა.

მეტიც, ჯონ ტერიმ გასულ მაისში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში საბედისწერო პენალტიც ვერ გაიტანა...

ერთი სიტყვით, ინგლისისა და ჩეხეთის ნაკრებთა გუშინდელი შეხვედრის წინ კაპელოს გუნდის კაპიტანი უნდა დაესახელებინა და ყველა ელოდა, რომ იტალიელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველსა და კაპიტანს, რიო ფერდინანდს დაასახელებდა. ამას ამბობდნენ თვით ტერის გუნდშიც, „ჩელსიშიც“, მაგრამ მოხდა სასწაული, იმ პირობებში, როდესაც ბუქმეიქერებმა ფერდინანდზე ფსონების მიღებაც კი შეწყვიტეს, გამოცხადდა, რომ ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანი, არც მეტი, არც ნაკლები, ჯონ ტერია.

როგორც ამბობენ, იტალიელი მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება „ჩელსის“ კაპიტნისთვის ახალი სიცოცხლის ტოლფასი იყო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა კი სეროიოზული დარტყმა მიიღო — ის მხოლოდ და მხოლოდ ვიცე-კაპიტნად დაასახელეს.

აი, რას ამბობს ყოველივე ამაზე 27 წლის ტერი:

„იქიდან გამომდინარე, რასაც ჩემს გარშემო ჩურჩულებდნენ და რასაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და პირადად რიომ გასულ სეზონში მიაღწიეს, მეგონა, ნაკრების კაპიტნად მას დაასახელებნენ.

გეფიცებით, არ ვიცოდი, როგორი ბრძოლა უნდა გამართულიყო კაპიტნის სამკლავურისთვის, რომელი ფეხბურთელები იბრძოდნენ და სხვა. ამიტომაც გამიკვირდა ორმაგად. მართალი გითხრათ, ცოტას ვნერვიულობდი კიდეც. მთელ გუნდს გვინდოდა, ყველაფერი დროულად გარკვეულიყო და წერტილი დასმოდა.

როდესაც კაპიტნის ვინაობა დაასახელეს, რიოს გვერდით ვიდექი. პირველი, რაც რიომ გააკეთა, ეს იყო: მოტრიალდა და ხელი ჩამომართვა. ეს საქციელი მას, როგორც ადამიანს, ძალიან კარგად ახასიათებს.

გულახდილად მოგახსენებთ იმასაც, რომ კაპიტნობა ჩემთვის რომ არ მოეცათ, ძალიან დამწყდებოდა გული“.

გაზეთი „სანი“ კი ირონიულად ვარაუდობს, ტერის ჩემპიონთა ლიგის ფინალში პენალტი რომ არ აეცილებინა კაპიტანი ვერ გახდებოდაო.

ხომ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა მაშინ? წერდნენ, რომ ტერი სამუდამოდ დაკომპლექსდებოდა და ასე შემდეგ, მან კი, წაგებული ფინალიდან სულ ცოტა ხანში, აშშ-ის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში თავი ხელში აიყვანა და გოლიც კი გაიტანა, რითაც დაამტკიცა, რომ განსაკუთრებული ნებისყოფისა და უტეხი სულის ადამიანია. ინგლისელი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ კაპელოზე სწორედ ამან მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება.

„მგონი, მაშინდელმა ამბავმა მწვრთნელს თვალნათლივ დაანახა ჩემი ხასიათი. ის მიხვდა, რომ საოცარი იმედგაცრუების შემდეგ ძალ-ღონის მოკრება სრულად შემიძლია და ვინ იცის, სწორედ ამანაც გადაწყვეტინა ნაკრების კაპიტნად ჩემი არჩევა. მაშინ, აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ კაპელომ სამკლავური მე მანდო და ამით დიდი სტიმული მომცა. იმ შეხვედრაში კარგად ვითამაშე, გოლიც გავიტანე და გამოვცოცხლდი კიდეც“.

კაპელო: „არჩევანი ძალიან ძნელი გასაკეთებელი აღმოჩნდა, რადგან რიო ფერდინანდი უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და მისი კაპიტნად არჩევა მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ჯონზე შევაჩერე, რადგან ის არის პიროვნება, რომელსაც სულის სიმტკიცე არასდროს არ უღალატებს. სხვა ამბავია, რომ ჩემს გუნდში ხელშეუხებელი ფეხბურთელები არ იქნებიან. ამა თუ იმ თამაშში ძირითად შემადგენლობაში ყოფნის გარანტიას კაპიტნის სამკლავურიც კი ვერ მისცემს ვერავის“.

და ისევ... ინგლისური პრესა ვერ ივიწყებს, რომ ჯონ ტერი დამარცხებული ნაკრების კაპიტანი გახლდათ. მართალია, ევრო 2008-ის შესარჩევი შეჯიბრების საკვანძო შეხვედრებში მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა, მაგრამ ტერის კაპიტნობით ინგლისელებმა ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს.

„სამაგიეროდ, ახლა მაქვს შანსი, გავხდე გამარჯვებული გუნდის კაპიტანი — ამბობს ტერი — დღეს ინგლისის ნაკრებს გამარჯვებისთვის შემართებული მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფრის მოსაგებად ვიბროლებთ“.

პაპუნა ძედია

მაურინიუმ ინტერი უკვე გააუმჯობესა

მილანის „ინტერის“ ლიდერმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ჟოზე მაურინიუსადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა. „იბრაკადაბრამ“ რობერტო მანჩინიზე ხელი მარტივად ჩაიქნია და თქვა, მაურინიუმ ჩვენგან უკვე უკეთესი გუნდი დააყენაო. არადა, პორტუგალიელი სპეციალისტი „ნერაძურიში“ სულ ახალი მისულია და იტალიაში სეზონი ჯერ არც დაწყებულა.

„მაურინიუმ „ინტერი“ უკვე უკეთესი გახადა. ბურთის ფლობა გავაუმჯობესეთ, მოკლე პასებით უფრო ხშირად ვთამაშობთ და სისწრაფეშიც მოვუმატეთ. ახალ ტაქტიკას, 4-3-3-საც მოვერგეთ, რაც გაცილებით შემტევი ფეხბურთის თამაშის საშუალებას გვაძლევს“ — თქვა იბრაჰიმოვიჩმა.

ბოსნიური წარმოშობის შვედს „განსაკუთრებული“ პიროვნულადაც მოსწონს, თან თავდამსხმელმა თავის მდგომარეობაზეც ილაპარაკა.

„ჟოზეზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. იგი განსაკუთრებული, ძალიან კარგი პიროვნებაა. ფეხბურთელებთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. ყოველთვის კორექტული და პირდაპირია, იმას აკეთებს, რასაც ამბობს. რაც შემეხება მე, მუხლი გაცილებით უკეთ მაქვს და უპრობლემოდ თამაში შემიძლია. ვითარება დღითიდღე უმჯობესდება და იმედია, მალე სრულ მზადყოფნაში ვიქნები“ — დასძინა იბრაჰიმოვიჩმა.

სერბმა ნახევარმცველმა დეიან სტანკოვიჩმა კი განაცხადა, „ინტერში“ ვრჩები. 29 წლის ფეხბურთელს მთელი ზაფხულია, აქტიურად უკავშირებენ „იუვენტუსს“, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი „სან სიროდან“ ფეხს აღარ მოიცვლის. ცოტა ხნის წინ მაურინიუმაც თქვა, მისი შენარჩუნება მინდაო.

„არსად არ მივდივარ, „ნერაძურიში“ ვრჩები. მაურინიუს ხელში ჩემს ახლებულ ამპლუასაც ვეგუები და ეს ძალიან მომწონს. ნელ-ნელა კიდევ უფრო ვიზრდებით და შეკრულ გუნდს ვაყალიბებთ. ტემპს მოვუმატეთ, ბურთს მეტი დროით ვაკონტროლებთ, ვიდრე ადრე, და ფიქრისთვისაც უფრო ბევრი დრო გვაქვს“ — აღნიშნა სტანკოვიჩმა.

კოკი კანდელაკი

მილანი და შევა გადაწყდა?

იტალიური „გაზეტა დელო სპორტი“ იუწყება, რომ ანდრეი შევჩენკოს „მილანში“ დაბრუნება გადაწყდა და უკრაინელს „სან სიროზე“ ყველაზე გვიან პარასკევს ელიან.

გავრცელებული ცნობით, „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ 31 წლის თავდამსხმელის თხოვნა ყურად იღო და „მილანში“ უფასოდ, ერთწლიანი იჯარის წესით გადავა. „როსონერის“ მფლობელს სილვიო ბერლუსკონისა და ლონდონელთა შეფ რომან აბრამოვიჩს ყველაფერზე სარდინიაში, ბერლუსკონის ვილაზე მოულაპარაკიათ.

შეგახსენებთ, რომ შევჩენკომ კარიერა კიევის „დინამოში“ დაიწყო. ამას მოჰყვა „მილანში“ გატარებული 7 ბრწყინვალე სეზონი. 2006 წელს კი იგი 30 მილიონ გირვანქად გადავიდა „ჩელსიში“ და დღემდე ძალიან დიდი ხელფასი აქვს, მაგრამ სხვამხრივ...

გასული ორი სეზონის განმავლობაში შევჩენკო ვერაფერით ჩაეწერა „ჩელსის“ სათამაშო სქემაში და ძირითადად სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევს. ინგლისის ჩემპიონატში ოდენ 9 გოლი აქვს გატანილი.

„შევამ“ აღიარა კიდეც, ლონდონელთა რიგებში გადმოსვლით შეცდომა დავუშვი და იტალიაში, კერძოდ „როსონერიში“ დაბრუნება მინდაო. ეს „მილანსაც“ უნდოდა, მაგრამ დიდი ფულის გადახდას არ აპირებდა და, როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა.

ახლა „სან სიროს“ ბინადრები ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის ალბათ სერია A-ს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებენ. მარკო ბორიელოს კიდევ დახლოებით თვე ნახევარი მოუწევს უქმობა. ტრავმას მალე მოიშუშებს კაკა. გარდა ამისა, „მილანს“ ახლახან მომჯობინებული ვეტერანი ფილიპო ინძაგი ჰყავს, ასევე რონალდინიო და ალეშანდრე პატო, რომლებიც კლუბს სულ ცოტა ხანში, ოლიმპიადის დასრულების მერე შეუერთდებიან.

გიორგი კაკაგაძე

ხელი სხვის ჯიბეში

პრემიერლიგიდან ჩემპიონლიგაში გავარდნილი „რედინგის“ პრეზიდენტი ჯონ მადეისკი ფეხბურთელების ჯიბეებში ჩაძვრა — ძალიან ბევრ ფულს იღებენო.

ჯონ მადეისკი

„ისედაც საკმარისი ხელფასი ჰქონდათ და ასე კატასტროფულად ჯამაგირის ზრდა არასწორია. ზოგადად მიხარია, რომ ფეხბურთელები დიდ ფულს აკეთებენ, თუმც თანხა აშკარად გასცდა ზღვარს.

კლუბში ფინანსური ვითარება არც ისე სახარბიელოა, როგორც გარედან ჩანს. სტადიონი საფუძვლიანად შევაკეთეთ. პრემიერლიგასთან შედარებით ჩემპიონლიგაში შემოსავალი 22 მილიონი გირვანქით ნაკლებია, არადა ჩვენ საკმარისზე მეტი ფეხბურთელი გვყავს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრს ვხარჯავდით, ვცდილობდით და კარგი ბიზნესგეგმაც შევადგინეთ, მაგრამ ფულში ნამდვილად არ ვბანაობთ.

14 ათასი სეზონური აბონემენტი გავყიდეთ და კმაყოფილი ვარ, ოღონდ შარშანდელთან შედარებით, ეს რიცხვი სასაცილოა. ჩვენი შესაძლებლობები, რომელსაც ბრწყინვალე არ ეთქმის, რეალურად უნდა შევაფასოთ“.

ვაჟა ხუციშვილი

მანჩესტერიდან მანჩესტერში

უკვე ამ კვირას მიქაელ სილვესტრი, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადაბარგდეს. „ქალაქელთა“ დამრიგებელ მარკ ჰიუზს ფრანგი მცველის თავისი გუნდის რიგებში ხილვა სურს. 31 წლის სილვესტრი „წითელი ეშმაკუნების“ შემადგენლობაში უმეტეს დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. ასე რომ, ეს ტრანსფერი მისთვის სავსებით გამართლებულია. ინგლისური პრესის ცნობით, სილვესტრის შეძენა „სიტის“ 750 ათასი გირვანქა დაუჯდება.

თავდასხმა კონტეზე

იტალიური „ბარის“ მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს ლეჩეში ყოფნისას ადგილობრივი კლუბის აგრესიული გულშემატკივრები დაეხსნენ თავს, რის შემდეგაც ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი კაპიტანი მსუბუქად დაშავდა. კონტე წარმოშობით ლეჩედან არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ვია დელ მარის“ ბინადართა მთავარ მოწინააღმდეგეს, „ბარის“ ჩაუდგა სათავეში. ინციდენტი ლეჩესთან ახლოს მდებარე პლაჟზე მოხდა და პოლიცია ამ საქმის გამოძიებას უკვე შეუდგა.

სავინი ნაპოლის ტოვებს

იტალიური „ნაპოლის“ ნახევარმცველი მირკო სავინი კლუბის დატოვებას აპირებს. ფეხბურთელით სერია B-ში დაქვეითებული „პარმა“ და სერია A-ში აღზევებული „ბოლონია“ არიან დაინტერესებულნი. 29 წლის სავინი „პარტენოპეიში“ 2005 წლიდან გამოდის, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო.

კვლავ ივანოვიჩი და მილანი

ლონდონის „ჩელსის“ სერბი მცველის ბრანისლავ ივანოვიჩის აგენტი ვლადო ბოროცანი ამტკიცებს, რომ მისი კლიენტი ახალ სეზონში „მილანის“ შემადგენლობაში ითამაშებს. „როსონერის“ თავისი დაბერებული დაცვის ხაზის გაახალგაზრდავება სურს. რამდენიმე დღის წინ ივანოვიჩი არენდა გამოირიცხა, თუმცა ახლა, სერბის აგენტის განცხადებით, ტრანსფერის განხორციელება კვლავ შესაძლებელია: ბრანისლავით ტურინის „იუვენტუსიც“ გამოთქვამდა დაინტერესებას.

სამპდორია ბანეგასთვის იბრძვის

გენუის „სამპდორია“ „ვალენსიას“ ამომავალი ვარსკვლავის ეერ ბანეგასთვის ბრძოლაში ჩაერთო. არგენტინელი ნახევარმცველი პრიმერადივიზიონში გადასვლამდე „ბოკა ხუნიორსში“ გამოდიოდა და მისი სახელი ტურინის „იუვენტუსთანაც“ იყო დაკავშირებული. ახლა კი მასზე, ლიგურიელების გარდა, მადრიდის „ატლეტიკოც“ ნადირობს. ესპანური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, „ღამურებმსა“ და „ბლუჩერკაცის“ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და ახლო მომავალში ბანეგა, შესაძლოა, „სამპდორიას“ რიგებში აღმოჩნდეს.

პინცი ან ტორინოში ან კიევოში

იტალიური „უდინეზეს“ ნახევარმცველი ჟამპიერო პინცი კლუბის დატოვებას აპირებს. ფეხბურთელი „ძებრეტეს“ დამრიგებლის პასკუალე მარინოს სამომავლო გეგმებში ვერ ჩაჯდა და, სავარაუდოდ, „ტორინოში“ გადავა, თუმცა პინცის აგენტის, დანილო კარაველოს თქმით, მისი კლიენტით ვერონის „კიევოც“ არის დაინტერესებული. პინციმ ფრიულელთა შემადგენლობაში მხოლოდ ცამეტი მატჩი ჩაატარა და ერთხელ წითელი ბარათი მიიღო.

კანფეტი ტიაგუ?

იტალიური პრესის ცნობით, ლივერპულის „ევერტონი“ ტურინის „იუვენტუსს“ ტიაგუ მენდეშის თაობაზე შეუთანხმდა. „ტოტენჰემთან“ და „ნიუკასლთან“ უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, „ბიანკონერიმ“, როგორც ჩანს, „კანფეტებთან“ მოახერხა პორტუგალიელის არენდის გაჩარხვა. ტიაგუ „ბებერი ქალბატონის“ რიგებში წინა ზაფხულს „ლიონიდან“ გადავიდა და დიდ იმედებსაც ამყარებდა, თუმცა პიემონტში მისი კარიერა ვერ აეწყო. როგორც აპენინელი ჟურნალისტები იუწყებიან, „ევერტონი“ ფეხბურთელის ერთწლიან იჯარაში 800 ათას გირვანქას გადაიხდის, შემდგომში სრულიად გამოსყიდვის შემთხვევაში კი 8 მილიონის დამატება მოუწევს. რაც შეეხება თავად ტიაგუს, იგი 12 თვის განმავლობაში მერსისაიდელებისგან 1,8 მილიონ გირვანქას მიიღებს.

ამეობი გადაიდო

„ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელის შოლა ამეობის „იფსვიჩში“ გადასვლა გადაიდო. კლუბები ტრანსფერის თაობაზე უკვე შეთანხმებულნი იყვნენ, როცა ფეხბურთელს მუხლის მყესებთან დაკავშირებით პრობლემები გამოუვლინდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ „იფსვიჩმა“ მოლაპარაკების შეჩერება გადაწყვიტა.

გრიფონები და აპია

გენუის „ჯენოა“ ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი ნახევარმცველით, სტეფან აპიათი დაინტერესდა. მას შემდეგ, რაც თურქული „ფენერბაჰ ჩესთან“ კონტრაქტი გაწყვიტა, განელი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და ამჟამად თავის კიდევ ერთ ყოფილ კლუბთან, „ბრეშასთან“ ერთად ვარჯიშობს. რაც შეეხება გენუელებს, მათ ნახევარდაცვის ხაზში პრობლემები აქვთ და „გრიფონების“ ხელმძღვანელობა ამ პრობლემების მოგვარებას აპიას საშუალებით იმედოვნებს.

არჩილ კოგანიძე

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №64

ჯუზეპე მეაცა

ჯუზეპე მეაცა პირველი იტალიელი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაითქვა და პოპულარობა მოიპოვა. ის ასევე პირველი იტალიელია, რომელსაც პერსონალური სპონსორები გამოუჩნდა.

მეაცას პეპს, პეპინსა და პეპინიოს ეძახდნენ. მისი მეტსახელია „ბალილიაც". იგი 1910 წლის 23 აგვისტოს მილანში დაიბადა. მან მამა პირველ მსოფლიო ომში დაკარგა, როცა შვიდი წლის იყო. იზრდებოდა დედამისთან, სინიორა ერსილიასთან ერთად, რომელსაც მაღაზიაში ხილის გაყიდვაში ეხმარებოდა. თუმცა გული ფეხბურთისკენ მიუწევდა.

13 წლის რომ იყო, თავის სიყვარულ „მილანში" მივიდა, მაგრამ იქ არ მიიღეს. ამიტომ, იგი „როსონერის" თანაქალაქელ „ინტერში" ჩაირიცხა. თავიდან დაცვაში ათამაშებდნენ, მაგრამ „ნერაძურის" მწვრთნელები მალე მიხვდნენ, რომ მეაცას ადგილი თავდასხმაში იყო.

კარიერის საუკეთესო წლები პეპინიომ სწორედ „ინტერში" გაატარა (1927-1940). ამას მოჰყვა „მილანი" (1940-1942), „იუვენტუსი" (1942-1943), „ატალანტა" (1945-1946) და ისევ „ინტერი" (1946-1947).

მეაცას დრიბლინგის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ასევე, თავით საკმაოდ კარგად თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 169 სანტიმეტრის სიმაღლის იყო. „გოლს ა ლა მეაცას" ისეთ გოლებს ეძახდნენ, როცა ფეხბურთელი რამდენიმე მეტოქეს ჩამოიშორებდა, ბოლოს, როგორც წესი, მეკარესაც გააბითურებდა და ისე შეაგორებდა ბურთს კარში.

გადმოცემით, 1933 წელს ლეგენდარულ იტალიელ მეკარეს ჯამპიერო კომბის მეაცასთან სანაძლეო დაუდევს — ჩემი მოტყუება და გოლის მერე გატანა არცერთ თავდამსხმელს არ შეუძლიაო...

„ამბროზიანა ინტერისა" და „იუვენტუსის" შემდეგი შეხვედრისას მეაცას ბრწყინვალე გოლი გაუტანია — მან ტურინელთა რამდენიმე ფეხბურთელს ფინტებით დაახვია თავბრუ, მათ შორის ლუის მონტისაც, მერე კომბიც გააბითურა, გასცდა მას და ბურთი მშვიდად შეაგორა კარში. კომბი მყისვე წამომდგარა და „ბალილიასთვის" ხელი ჩამოურთმევია.

„პეპინიოს ტაქტიკის გაგონებაც არ უნდოდა. იგი ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, რომელიც მეფე ხდებოდა მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოებისთანავე. „მას პელეს დარი ტექნიკური არსენალი ჰქონდა" — ნათქვამი აქვს ბრუნო აკარის.

სერია A-ს შექმნამდე ერთი სეზონით ადრე, ანუ 1928-1929 წლების სეზონში, როცა ჩემპიონატი ორ ლიგად, ჩრდილოეთად და ცენტრალურ-სამხრეთად იყო დაყოფილი, მან 29 მატჩში 38 გოლი გაიტანა, მეაცა სულ რაღაც 18 წლის იყო. „ინტერმა" „ვენეციას" 10:2 მოუგო და მეაცამ 6 გოლი გაიტანა. „პისტოიეზესა" (9:1) და „ვერონას" (9:0) კარში კი ხუთ-ხუთი გოლი შეაგდო.

მან ბევრი ტიტული და ჯილდო მოიგო. მათ შორის, 1929-30 წლების სეზონში 31 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სერია A-ს სადებიუტო სეზონში ამდენი ბურთი ჯერაც არავის გაუტანია. ჯუზეპე მეაცა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი სამჯერ გახდა. ამდენჯერვე მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ხოლო ერთხელ თასი.

1937-38 წლების სეზონში მან ჯერ „ბარის" გაუტანა 5 გოლი, მერე „ლუკეზეს" 3 და „ნოვარას" მეკარემ გავიორნომ თქვა — ეს მეაცა ცენტრფორვარდი კი არა, ეშმაკიაო.

კიდევ ერთი ლეგენდის თანახმად, პეპინიოს, რომელსაც ხანდახან დალევაც ჰყვარებია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ღღეს ბევრი დაულევია და საროსკიპოში დაუძინია. თუმცა მეორე ღღეს მას ბრწყინვალედ უთამაშია და თავიც გამოუჩენია.

1930-1939 წლებში მან იტალიის ნაკრებში 53 მატჩი ჩაატარა (აქედან მხოლოდ 6 წააგო) და 33 გოლი გაიტანა. 1934 და 1938 წლებში მან ლომის წვლილი დაიდო „სკუადრა აძურას" მიერ მსოფლიოს ჩემპიონატების მოგებაში.

მეაცა იმ პერიოდში წამყვანი ნაკრებების მცველებს ამწარებდა და მას თითქმის ვერავინ აჩერებდა. მისი დებიუტი კი 1930 წლის 9 თებერვალს შედგა, იტალიამ 4:2 მოუგო შვეიცარიას და მეაცამ ორი გოლი გაიტანა. მას ჯოვანი ფერარისა და ერალდო მონცელიოსთან ერთად ღღემდე ერთი რეკორდი ეკუთვნის, მიჯრით ორი მუნდიალის მოგება.

„მილანისა" და „ინტერის" საზიარო სტადიონს „სან სიროს" ოფიციალურად უკვე რა ხანია, „სტადიო ჯუზეპე მეაცა" ჰქვია.

პეპინიო 1979 წელს, თავისი 69-ე დაბადების ღღემდე ორი ღღით ადრე რაპალოში გარდაიცვალა. ფიფამ და ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მეაცა მე-20 საუკუნის 25 საუკეთესო მოთამაშეს შორის შეიყვანა, ხოლო საუკეთესო იტალიელებს შორის მეორე ნომრად დაასახელა.

ლეგენდა №65

სტენლი და სტენლი

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში დრამატულ მატჩებს რა მოთვლის. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული 1953 წლის 2 მაისს „უემბლიზე" გამართული ასოციაციის თასის ფინალია, რომელშიც ერთმანეთს „ბლექპული" და „ბოლტონი" შეხვდნენ.

ამ მატჩში ლეგენდარულმა სტენლი მეტიუზმა 38 წლის ასაკში კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ძალიან ნაადრევი გახლდათ და ასაკის მიუხედავად, ჩინოვნიკები „აიძულა", ნაკრებში დაებრუნებინათ.

ინგლისის თასის ფინალების მრავალწლიან ისტორიაში სულ ორჯერ მოხდა, რომ კლუბმა სამბურთიანი სხვაობა ამოქაჩა და გამარჯვებულიც გახდა. სწორედ ეს შეძლო მეტიუზის „ბლექპულმა". კიდევ ერთმა სტენლიმ — მორტენსენმა — კი ჰეთ თრიქი შეასრულა, რაც ინგლისის თასის ფინალში სამი გოლი აღარავის არ გაუტანია.

ბოლტონელებმა ბენქსმა და ბელმა ტრავმები პირველივე ტაიმში მიიღეს, მაგრამ თამაში განაგრძეს, რადგან იმ დროს (1966 წლამდე) შეცვლები დაშვებული არ იყო. თუმცა „ბლექპულს" მეტოქის დასუსტებული მარცხენა ფლანგით დიდად არ უსარგებლია, რადგან მთელი თამაში მაინც მეტიუზზე იყო აგებული.

სხვათა შორის, ორივე გუნდის მეკარემ ცუდად ითამაშა. გასული 7 გოლიდან 4, რბილად რომ ვთქვათ, აუღებელთა კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. თუმცა ეს მატჩის დრამატულობასა და დაძაბულობას სულაც არ აკნინებს.

ბოლო წუთამდე „ბოლტონი" 3:2-ს იგებდა. 89-ე წუთზე მორტენსენმა საჯარიმო დარტყმით თავისი მესამე გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. ხოლო უკანასკნელ წამებზე პერიმ მეტიუზის პასით იხეირა და „ბლექპულმა" ეს საოცარი გამარჯვება მოიპოვა.

საფრანგეთის კაპიტ-ანრი

ტიტი ტუტუს და პატის აღარ ცვლის

საფრანგეთის ნაკრების კაპიტნად ტიერი ანრი დაასახელეს. ეს ცნობა შვედეთის ნაკრებთან გუშინდელი ამხანაგური თამაშისწინა პრესკონფერენციაზე „ლურჯთა" თავკაცმა რაიმონ დომენეკმა გავრცელა.

„დიდი არჩევანის წინაშე არც ვმდგარვარ — უთხრა დომენეკმა ჟურნალისტებს — ტიტი ყველა იმ თვისების მატარებელია, რომელიც ნაკრების კაპიტნობას სჭირდება. მას ფეხბურთელებს შორის დიდი ავტორიტეტი აქვს და საფრანგეთის ნაკრების აღორძინების ძალა და ნებისყოფაც მოსდევს".

თუმცა, ჟურნალისტებმა რატომღაც ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ დომენეკმა არ დააკონკრეტა რამდენ ხანს გასტანს ანრის კაპიტნობა. თითქოს მუდმივ კაპიტანზეა საუბარი, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც კითხულობენ, ანრის კაპიტნად დანიშვნა მხოლოდ ერთთამაშიანი აქციაა, თუ ამიერიდან სამკლავური მუდმივად ბარსელონელ ვარსკვლავს ეკეთება.

გარდა ამისა, დომენეკმა ფრაგნთა ნაკრების მომავალზეც ილაპარაკა. უფრო ზუსტად, ის შეეხო თემას, რომელიც ამ ქვეყნის ქომაგთათვის უპირველესი მნიშვნელობისა იყო. საქმე კი ის გახლავთ, რომ „ლურჯებს", რომლებიც ევრო 2008-ზე ჯგუფში ჩარჩნენ, გულშემატკივარმა უგულოდ თამაშსა და შიდაარეულობაში დასდო ბრალი. დომენეკმა განაცხადა, რომ ამიერიდან საფრანგეთის ეროვნული გუნდი „გულიანი" და ხალხთან გახსნილი იქნება.

„მე თუ მკითხავთ, ამ საკითხში ყველაზე სწორი ინგლისური მიდგომაა. ხალხი კმაყოფილი უნდა დარჩეს იმით, რომ ფეხბურთელები მოედანზე თავგადაკლულნი თამაშობენ და გამარჯვების მისაღწევად ყველა ღონეს ხმარობენ".

ფრანგების გუნდის ვიცე-კაპიტნად არსენალელი ვილიამ გალასი დანიშნეს.

„ადრე თუ მიკაპიტნია, მხოლოდ იმიტომ, რომ პატი ან ტუტუ შემეცვალა (პატრიკ ვიეირა და ლილიან ტურამი), ახლა კი დიდი პასუხისმგებლობა მერგო. გუნდში ახალი თაობაა მოსული, თუმცა ნებისმიერ გუნდს მაინც სჭირდება გზის გამკვალავი ფიგურა. საბედნიეროდ, მე დიდ სანაკრებო ფეხბურთში დიდი გამოცდილება მიმაგრებს ზურგს. გარდა ამისა, ახალ თაობასაც კარგად ვიცნობ. თავადაც მუდამ ახალგაზრდად ვგრძნობ თავს.

ერთი სიტყვით, გამოწვევას ვიღებ. პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მაგრამ შიშით არაფრის მეშინია. ჩვენი ნაკრების მომავალი იოლი არ იქნება, მაგრამ მუშაობით ყველაფრის გადაძლევა შეიძლება".

პაპუნა კედია

კვარეშმა მოვა, სუასო წავა?

იტალიური პრესის მტკიცებით, მილანის „ინტერი" „პორტუდან" რიკარდუ კვარეშმას გადაბირებას კიდევ ერთხელ ცდის. „ნერაძურის" აქამდელი შეთავაზებები უშედეგო აღმოჩნდა, რადგან პორტუგალიელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ. ამჯერად „სან სიროს" ბინადარნი 17 მილიონი გირვანქის ჩამოსვლას აპირებენ. თუ კვარეშმას ტრანსფერი შედგა, მაშინ „ინტერის" დატოვება სუასოს მოუწევს. ჰონდურასელი ფეხბურთელი „სან სიროზე" შარშან „კალიარიდან" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა. სუასოს „რომასთან" ჰქონდა კავშირები, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ჯალოროსომ" ჟულიო ბაპტიშტა იყიდა, ეს ვარიანტი ჩაიშალა და ახლა ამ ფეხბურთელით ლისაბონის „ბენფიკაა" დაინტერესებული.

ბარაზიტი ცხვრებში

ლონდონის „არსენალს" ნახევარმცველი ნასერ ბარაზიტი ივჯარის წესით „დერბი ქაუნთიში" გადავიდა.

„ნასერი ახალგაზრდა ფეხბურთელია, თუმც „არსენალის" შემადგენლობაში უკვე უთამაშია. ჯერჯერობით ივჯარა მხოლოდ ერთ თვეზეა გათვლილი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ უფრო გრძელ ვადაზეც შევთანხმდებით" — თქვა „ცხვრების" მთავარმა მწვრთნელმა პოლ ჯუელმა.

არჩილ კოგბახიძე

იტალიაში მაგრად მეასეება

მიუნხენის „ბაიერნის“ იტალიელმა თავდამსხმელმა ლუკა ტონიმ ერთხელაც დაადასტურა, რომ კარიერის დასრულება სამშობლოში სურს. ამ განცხადებას, თითქოსდა, გერმანიის ჩემპიონთა ოფისში პანიკა უნდა გამოეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯერჯერობით ტონი მიუნხენშია და კონტრაქტის პირობებს პირნათლად ასრულებს.

დიახ, ლუკა ტონიმ თავის ამჟამინდელ, მიუნხენურ ცხოვრებას სრულფასოვანი და საუცხოო უწოდა. ფაქტია, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირს (24 გოლი) საწუწუნო მართლაც არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ აი, იტალიაში კი დარჩენია რაღაც-რაღაც საქმეები მისამთავრებელი.

„ვფიქრობ, კარიერა იტალიაში დავასრულო — უთხრა ფორვარდმა გერმანულ გაზეთ „ციტს“ — იტალიაში 99 გოლი მაქვს გატანილი და ეს რიცხვი აუცილებლად უნდა ავწიო ასამდე. მინდა, სერია A-ში ასი გოლი მქონდეს გატანილი, თუმცა იქამდე დროა. ჯერჯერობით მიუნხენში ვარ და აქ თავს საუცხოოდ ვგრძნობ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თფითქოს სამშობლოდან ფეხიც არ გამედგას. ნეტავ ჩემი მშობლიური ქალაქი მოდენაც ისეთი განვითარებული იყოს, როგორიც მიუნხენია“.

პაპუნა კედია

დამშვიდობება სენსისთან და თავდასხმა გალიანიზე

გუშინ უამრავი ქომაგი, სერია A-ს კლუბების ჩინოვნიკები, ფეხბურთელები და, ცხადია, „რომას“ მთელი შემადგენლობა გუნდის პრეზიდენტ ფრანკო სენსის გამოეშშვიდობა.

სენსი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი კლუბს 15 წლის განმავლობაში მართავდა და ეს „რომას“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ეპოქა გახლდათ.

სენსის სასახლე სან ლორენცო ალ ვერანოს ეკლესიიდან სხვებთან ერთად „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ, კრისტიან პანუჩიმ, მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ და გუნდის ახალწვეულმა ჟულიო ბაპტიშტამ გამოასვენეს.

„არავის დაავიწყდება, რა შემართებით მუშაობდა და როგორ ყურადღებას გვაქცევდა. ახლა ფრანკო სენსი ზეციდან დაგვყურებს და იმედია, ღიმილის საფუძველს კიდევ ბევრჯერ მივცემთ“ — თქვა „რომას“ ყოფილმა ფორვარდმა ვინჩენცო მონტელამ.

ფრანჩესკო ტოტი: „ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია ამის გადატანა. დიდი ადამიანი დავკარგეთ“.

სამწუხაროდ, დაკრძალვის ცერემონიაზე ერთი უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა. ფანების გარკვეულმა ჯგუფმა ობსტრუქცია მოუწყო „მილანის“ დირექტორ ადრიანო გალიანის. მასზე თავდასხმა სცადეს და წყალიც შეასხეს, მაგრამ საქმეში სამართალდამცავები ჩაერივნენ...

სენსისა და გალიანის კარგი ურთიერთობა არ ჰქონიათ და „ულტრასების“ გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ „მილანის“ დირექტორი დაკრძალვაზე მივიდა. თბილად არც „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის შეხვედრიან.

გიორგი კაკაბაძე

კაცი ხინჯით

მიხაელ ბალაკმა წლეულს ორ ფინალში ითამაშა და შვებულებაც ამიტომ გაუგრძელდა. კლუბში დაბრუნებულს ადგილი „დაკავებული“ დახვდა. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მის პოზიციაზე დეკუ მიიყვანა. გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს კონკურენცია არ აშინებს და „კიკერთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ „ჩელსიში“ ადგილი მისთვისაც მოიძებნება

— ევროპის ჩემპიონატის ფინალში მარცხი როგორ გადაიტანეთ?

— ასეთ მატჩებს იგებს ის, ვისაც კლასით მაღალი ფეხბურთელები ჰყავს და თამაშის დღეს უკეთეს ფორმაშია. ამიტომ, უნდა ვაღიაროთ, რომ ესპანეთმა ამ მხრივ აშკარად გვაჯობა. არ გვეყო ძალა და ნებისყოფა საიმისოდ, რათა ფინალის ბედი საჩვენოდ შემოგვებრუნებინა.

— ზოგი ფეხბურთელი სათანადო ფორმაში არ იყო?

— საქმეს ყველა კარგად ასრულებდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ფინალში ხომ ვერ გავიდოდით. რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობდა, ზოგმა ტრავმა ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოიშუშა, ზოგიც ტურნირისას დაშავდა. ამის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა: ნაკრებმა ევრო 2008-ზე დაამტკიცა, რომ ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია.

— რით ახსნით ნაკრების თამაშის არცთუ მაღალ ხარისხს?

— შეუძლებელია, ევროპის ჩემპიონატზე ექვსივე მატჩი ერთ დონეზე კარგად ჩაატარო. მაგალითად, პორტუგალიასთან საუცხოოდ ვითამაშეთ, თურქეთთან და ავსტრიასთან კი გაგვიჭირდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფეხბურთი მეტოქესაც ეხერხება. ამ მატჩების წინ ჩვენს ნაკრებში დაძაბულობა იგრძნობოდა. ფავორიტები ვიყავით და ეს ხელს გვიშლიდა. ალბათ ესაა მიზეზი იმისა, რომ თამაშის ხარისხი არ გვივარგოდა, მაგრამ გუნდმა გადალახა სირთულეები და, რაც მთავარია, მოიგო. ევროპის ვიცე-ჩემპიონები გავხდით და უნდა გვიხაროდეს.

ვფიქრობ, რომ გერმანული ფეხბურთი სწორი გზით მიდის და ბოლო წლებში ჩვენი შესაძლებლობებით ბევრს მივაღწიეთ.

— ფინალის დასრულების შემდეგ ასე დადებითად არ აფასებდით მიღწეულს...

— რა თქმა უნდა, მეორე ადგილი კარგია. იტალიას, საფრანგეთს და ჰოლანდიას ჩვენზე გაცილებით ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ მათ ვერ გამოავლინეს ხასიათი და ფინალში ვერ გავიდნენ.

გერმანია, როგორც გუნდი, თავისი მტკიცე ხასიათით უფრო შორს წავიდა, ვიდრე ჩამოთვლილი ნაკრებები. ამიტომ, გული არ უნდა გავიტეხოთ იმის გამო, რომ ფინალში წავაგეთ.

— ვიცე-ჩემპიონობის გამო ბერლინში გამართული და შემდეგ მედიისგან გაკრიტიკებული ზეიმი, შესაფერისად მიგაჩნიათ?

— რატომაა შეუფერებელი? ჩემი აზრით, თუ ტურნირი ჩვენს ქვეყანაში არ იყო, ეს ერთი მხრივ კარგიცაა — კიდევ ერთხელ მოგვეცა ქომაგებისთის მადლობის გადახდის საშუალება. ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმც, როცა მეორეობას ზეიმობ, გულში მაინც ხინჯად გაქვს, რომ ჩემპიონი ვერ გახდი.

— ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო გქონდათ. ფიზიკურად როგორ ფორმაში ხართ?

— „ჩელსის“ ფეხბურთლებიდან ერთადერთი ვარ, ვინც ჩემპიონთა თასის და ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. ამიტომ კლუბში სხვებთან შედარებით გვიან დავბრუნდი და მოსამზადებლადაც ნაკლები დრო დამრჩა.

ჩვეულებრივად ვვარჯიშობდი, მაგრამ ამხანაგურ მატჩში მხოლოდ ერთხელ, ერთი ტაიმი ვითამაშე. ალბათ გასაგებია, რომ ასი პროცენტით მზად ვერ ვიქნები.

— ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თქვენს პოზიციაზე დეკუ მიიყვანა. ამის გამო გუნდში როლი შეგეცვლებათ?

— ჯერ არ ვიცი. ვნახოთ, როგორ წავა საქმეები სეზონის დასაწყისში. დეკუ მსოფლიო კლასის ფეხბურთელია და ნახევარდაცვაში კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდება, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ მე „ჩელსისთვის“ საჭირო ფეხბურთელი ვარ.

ისევ ვეცდები, გუნდში მნიშვნელოვანი როლი ვითამაშო, როგორც გასული სეზონის მეორე ნახევარში. ბევრი ჯილდოს მოგება გვინდა, ამას კი ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი და მათი როტაცია სჭირდება.

— „ჩელსისთვის“ ჩემპიონთა ლიგაა მთავარი თუ პრემიერლიგა?

— რაკი ბოლო ორ სეზონში „მანჩესტერმა“ გვაჯობა, უპირატესობას უფრო პრემიერლიგას ვანიჭებ. მეორე მხრივ, ჩემპიონთა ლიგაშიც წინ წავიწიეთ. ზედიზედ ორჯერ ნახევარფინალში გავედით, წლეულს კი ფინალსაც ვუწიეთ. გუნდი სტაბილურად კარგად თამაშობს და ჩემპიონთა თასის მოგება შეუძლია.

— გერმანულ კლუბებს ლიგაში სერიოზულ კონკურენტებად მიიჩნევთ?

— „ბაიერნი“ შარშან უეფას თასზე იყო, მაგრამ ახლა დაბრუნდა ჩემპიონთა ლიგაში და ვფიქრობ, რომ მისი სახელი ძველებურად ჭრის. „ვერედერი“ და „შალკეც“ საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ ისინი კონკურენტებად არ მიმაჩნია.

— გჯერათ, რომ გერმანული საკლუბო ფეხბურთი წინ წავა და უფრო ძლიერ ქვეყნებს გაუტოლდება?

— მთავარია საერთაშორისო მატჩების შედეგები. ნაკრებმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატზე მესამე და მეორე ადგილები დაიკავა, საკლუბო დონეზე კი ევროთასებზე ასეთივე შედეგი არ ჩანს. ამიტომ, მეეჭვება, რომ პრემიერლიგას, პრიმერადივიზიონს და სერია A-ს მალე დავეწევით.

გლოვა ბრაზილიის ბანაკში

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებს ოლიმპიადა არასოდეს რომ არ მოუგია, ალბათ კარგად მოგეხსენებათ. „სელესაუს“ ნავსის გატეხვა წელს ჩინეთში ძალიან სურდა და შემადგენლობაც ძლიერი ჰყავდა, მაგრამ... კარლოს დუნგას შეგირდებს ნახევარფინალში მოსისხლე მტერი არგენტინა გადაეყარა და „ალბისელესტეშ“ მეტოქე ყოველმხრივ შეარცხვინა. უბრალოდ, ანგარიშის დასახელებაც კმარა — 0:3.

ცხადია, ბრაზილიელთა ბანაკში იმედგაცრუებაა და იტალიური „მილანის“ ვარსკვლავები რონალდინიო და ალეშანდრე პატო სწორედ ამაზე საუბრობენ. ახლა ისინი სხვა თანამემამულეებთან ერთად 22 აგვისტოს ბელგიის დამარცხებასა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებას ეცდებიან.

რონალდინიო: „ამ წუთებში ვერაფერი გამამხნევებს. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. არ ვიცი, ბრაზილია ოლიმპიადაზე ყოველთვის რატომ განიცდის ფიასკოს. განწყობა ცუდია, მაგრამ როგორღაც უნდა გამოვცოცხლდეთ და ბრინჯაოს მედლებისთვის სათანადოდ ვიბრძოლოთ. ბიჭების ერთად შეკრება და საბრძოლო განწყობის შექმნა გარკვეულწილად ჩემი საქმეცაა, რადგან სხვებთან შედარებით უფროსი ვარ“.

„ძალიან განვიცდით, რომ ოქროს მედლების მოპოვების შანსი აღარ გვაქვს. აქ სწორედ ჩემპიონობისთვის ჩამოვედით, მაგრამ ფინალში ვერ გავედით. თან არგენტინასთან წაგება ორმაგად მტკივნეულია. „ალბისელესტესა“ და ჩვენი დიდი პაექრობის შესახებ, ცხადია, კარგად ვიცოდი, მაგრამ საკუთარ თავზე ეს ჯერ არ გამომეცადა.

ეს იყო ბრძოლა უმაღლესი კლასის ორ გუნდს შორის, რომელშიც ამ მომენტში საუკეთესომ გაიმარჯვა“ — თქვა პატომ.

ძოძი ძანდელაძი

არ გაგვეკარნენ, არ გავეკარეთ ხარისხიანი საქართველო ესტონეთში

როგორც იცით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ტალინში ორი ამხანაგური მატჩი გამართა მასპინძლებთან. ჩვენებმა პირველ მატჩში უგოლო ფრე ითამაშეს, მეორეში კი 2:0 იმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ ქართველებს ნოემბერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ელით, ტესტ-მატჩებში კი კარგად ჩანს გუნდის მინუს-პლუსები. გუშინ 19-წლამდელთა ნაკრების თავკაც ზაურ სვანაძეს გავესაუბრეთ.

— პირველ შეხვედრაში გოლი ვერ გავიტანეთ, თუმცა საკმაოდ დიდ უპირატესობას ვფლობდით. 5-6 საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ თამაშის ხარისხით კმაყოფილი დავრჩი.

— მეორე მატჩში გაიმარჯვეთ...

— ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს გასამარჯვებლად და ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას მცირე სიხარული მიანიჭეს. მართალია, ესტონეთი ახლოს ვერ მოვა რუმინეთთან, რომელსაც თბილისში ორჯერ შევხვდით, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ტალინში ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშეს.

— საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე რას ამბობენ ესტონელები?

— ესტონელი ხალხისგან დიდი სითბო და ყურადღება ვიგრძენით, უბრალო მოქალაქეები რუსეთის აგრესიას გმობდნენ. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში დღე არ გასულა, რომ არ მოსულიყვნენ და რუსეთის მოქმედება არ გაეპროტესტებინათ.

— საბჭოეთის დროს დიდი ხანი ითამაშეთ და რუს ფეხბურთელებთან კავშირი გქონდათ. ვინმე თუ შეგეხმანათ და ამ ომის თაობაზე წუხილი გამოთქვა?

— არავის დაურეკავს რუსეთიდან. ისეთი პროპაგანდა მიმდინარეობს, რომ, ეტყობა, ყველას ეშინია. ტალინში რუსულ არხებს შევავლე თვალი და ისეთ რამეებს გადმოსცემდნენ, სიმართლის ნატამალი რომ არ ერია. იმასაც გეტყვით, რომ ტალინში ჩვენ გვერდით მოსკოვის „ლოკომოტივის“ ბავშვთა გუნდი ცხოვრობდა. რუსი მწვრთნელები ახლოსაც არ მოგვეკარნენ და არც ჩვენ გაგვჩენია მათთან ურთიერთობის სურვილი.

ნუკრი ლოლაძე

ფიფა: თბილისი უნდა გადაიტანოთ

უჩა უგულავა

საქართველოს ნაკრები ერთით ნაკლებ საშინაო მატჩს გამართავს მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ეტაპზე. ეს ვერდიქტი ფიფამ იმიტომ გასცა, რომ საქართველოში რუსი ჯარისკაცების თარეში გრძელდება და პირველი მეტოქე ირლანდიისთვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემა საეჭვოა.

წესით და რიგით, მატჩი საქართველოს საზღვრებიდან 250 კილომეტრის დაშორებით უნდა შედგეს. ზუსტად სად, ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 26 აგვისტომდე უნდა გადაწყვიტოს. სფფ-ში კი ჯერჯერობით მსჯელობა მიდის. ამის შესახებ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვაცნობა.

— მსგავსი ფაქტის წინაშე იდგა „ვიტ ჯორჯიაც“. მაშინ მატჩის ჩატარების სავარაუდო ადგილებად ბაქო, ერევანი და რიზე განიხილებოდა. ახლაც ამ ქალაქებზეა ლაპარაკი?

— მათ გარდა კიდევ რამდენიმე ვერსიაზე ვმუშაობთ.

— 1 სექტემბერს გუნდი შეკრებას იტალიაში იწყებს. იქაურ ვარიანტზეც ხომ არ მუშაობთ?

— პირდაპირ იტალიაში თამაშზე არა, მაგრამ უღინესთან ახლოს მყოფ რომელიმე ქვეყანაზეც ვფიქრობთ და არ გამოვრიცხავ, რომ იქ ვითამაშოთ.

როგორც უგულავასთან საუბრიდან ირკვევა, 6 სექტემბრის მატჩის ჩატარების სავარაუდო ადგილებად აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის გარდა იტალისთან ახლო მყოფი ქვეყნები, სავარაუდოდ, შვეიცარია და ავსტრია განიხილება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აბა, როგორ უქართველებოდ

მიხეილ აშვეთიამ და გოჩა ხოჯავამ გიორგი ნავალოვსკის გარეშე გაიხარეს

რუსეთის პირველი დივიზიონის 27-ე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ქართველებით დახუნძლულმა „ანჟიმ“ და „ურალთან“ ერთად 52 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფს, რითაც პრემიერლიგაში გადასვლის შანსებს ინარჩუნებს.

მახაჩყალელთა მსხვერპლი ამჯერად პიატიგორსკის „მაშუკი“ შეიქნა — 5:2.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, ამდენ გოლში ქართველები არ გარეულიყვნენ.

მიხეილ აშვეთიამ ორი გაიტანა და სეზონში უკვე 13 მოუგროვდა, რაც დივიზიონში მეოთხე შედეგია. ერთი გოლი რევაზ ჯიქიას ანგარიშზეა, რომელსაც საგოლედ ზურაბ არზიანმა უპასა. ერთი საგოლე გადაცემაც გოჩა ხოჯავასი გახლდათ.

მათ გარდა ქართველთაგან ვალერი აბრამიძემ ითამაშა, რაც შეეხება რევაზ ბარაბაძეს და გიორგი ნავალოვსკის, ეროვნულ გუნდს უელსში ახლდნენ და „მაშუკთან“ ამის გამო არ უთამაშიათ.

ერთიც: მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებში აშვეთიას პირველი, ხოჯავას კი მესამე ადგილი ერგო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კალაძის იმედი ხიხონია



როცა საქართველოს ნაკრები უელსელებს ამხანაგურად ეჯიბრებოდა, მისი კაპიტანი კახა კალაძე ტრავმას იშუშებდა. „მილანის“ მცველის ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის და ჩვენებურიც გუნდთან ერთად ვარჯიშს დღეიდან შეუდგება.

„ძირითად ჯგუფთან ერთად ვიწყებ ვარჯიშს. ამჟამად მიზნად ხიხონში გასამართ ტურნირზე თამაში მაქვს, რომელიც ამ კვირის ბოლოს დაიწყება. თუ ასე მოხდა, მაშინ, სერია A-ს პირველ ტურშიც ვითამაშებ“ — განაცხადა კალაძემ.

სერია A კი 31 აგვისტოს იწყება და „მილანი“ შინ „ბოლონიას“ ხვდება. კალაძის გამოჯანმრთელება კი მილანელთა ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან ალესანდრო ნესტა და პაოლო მალდინი ტრავმებს ჯერ კიდევ იშუშებენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლომაიას მეორე რკინიგზული წრე

ისეთი პირი უჩანს, ეროვნული ჩემპიონატის დაწყება სექტემბრისთვის გადაიდება. ქართული გუნდების უმრავლესობა ამჟამად კი ვარჯიშობს, თუმცა სანამ რუსები არ აიბარგებიან ჩვენი ქვეყნიდან, ბუნებრივია, ჩემპიონატი ვერ დაიწყება.

„ლოკომოტივი“ თბილისში გადის წვრთნას. რამდენიმე დღეა, გუნდში ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე გიორგი ლომაია, რომელმაც გასული სეზონი რუსთავის „ოლიმპში“ ჩაამთავრა, ისე კი, „ლოკომოტივში“ ადრეც უთამაშია. ლომაიას უცხოეთისკენ ეჭირა თვალი, თუმცა სახეირო ვარიანტი არ გამოჩნდა და საქართველოში თამაში გადაწყვიტა. როგორც „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, რამდენიმე დღეში „ზესტაფონთან“ გეგმავენ ტესტ-მატჩს.

ლუკა თალაკვაძე

რა მოხდა? გავუშვით და მაინც მოვიგეთ!

სუონსი. 20 აგვისტო, 21 საათი. ლიბერტი

უელსი 1:2 საქართველო

1:0 კუმასი (17), 1:1 ყენია (67), 1:2 გოცირიძე (90)

უელსი: მაიპილი, ერდლი, რიკეტსი, რობისნსონი, მორგანი, უილიამსი, ფლეტჩერი, დევისი, ბარი (ვოგანი 71), კუმასი, ისტვუდი (ერნშოუ 80)	**საქართველო:** ლორია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, კვახაძე, მენთეშაშვილი, მუჯირი (ხმალაძე 46), ყენია (კლიმიაშვილი 76), ოდიკაძე (დევდარიანი 86), ა. იაშვილი (გოცირიძე 81), მჭედლიძე (ალექსიძე 23)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი	**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (29)

მსაჯი: მატეი იუგი (სლოვენია)

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! გაგბედავთ და სადღეგრძელოსმაგვარით დავიწყებთ. რატომ? იმიტომ, რომ მოგება მოგებაა, ამხანაგურშიც კი და მით უმეტეს, ასეთ დროს. მშვიდობიანობისას, ეგებ, ასე არც გაგვხარებოდა საქართველოს ნაკრების გამარჯვება, მაგრამ გუშინ სხვა იყო, გუშინ რაღაც სხვანაირად გულანთებულნი მივუჯექით ტელევიზორებს...

იმას როგორ ვიტყვით, ნაკრებმა გუშინ კარგი თამაში აჩვენაო. კარგი კი არა... შეცდომები რამდენიც



ბექა ბოცირიძემ საქართველოს ბოლო წუთზე მოგებინა

გინდა, ტემპი იმდენად დაბალი იყო, რომ საფეთქლები ნერვების ფეთქვით დაგვასკდა, მაგრამ მოდი, ისიც ვთქვათ, რა რესურსით იყო ჩასული სუონსიში ექტორ რაულ კუპერის გუნდი. რა უნდა მოასწროს თუნდაც სახელოვანმა მწვრთნელმა ორ დღეში, რომ გუნდი უცბად გარდაქმნას? ეს ხომ ზღაპარია, ერთი ხელის მოსმით ხომ არაფერი კეთდება...

თავი დავანებოთ თბილისიდან სუონსიში წვალებით ჩასვლას. რაც უნდა იყოს, მგზავრობით გამოფიტვიდან ორმა დღემ გაიარა თამაშამდე. ელემენტარულად, კუპერს 18-კაციან სიაში მხოლოდ ოთხი მცველი ჰყავდა და არც ერთი არ იყო მარცხენაფლანგელი — ამ პოზიციაზე იძულებით, ცენტრალური მცველი ალექსანდრე კვახაძე დააყენეს და აკი, თვალშისაცემიც იყო, რომ ვიტჯორჯიელი მისთვის უცნაურ ადგილს ვერ ეგუებოდა: უელსელები თითქმის მუდმივად კვახაძის ფლანგიდან უტევდნენ, ცხენს რომ გააჭენებ, ისეთი დერეფანი ნახეს და გაილაღეს კიდეც...

კუპერი — კაცი სკამზე არ დამჯდარა, ჩვეული ჟესტებით და შემართებით მუზტავდა გუნდს, რამდენჯერმე კადრში მისი გაბრაზებული სახე გამოჩნდა, ადგილზე ვერ ისვენებდა.

ძნელია, როცა ხედავ, მეტოქეს ჯობიხარ და მაინც აგებ. და რომ ვაგებდით, ეს მეკარე გიორგი ლორიას შეცდომით. ისე, შეცდომაც არის და შეცდომაც: ლორიამ ჯეისონ კუმასის შორეული დარტყმა რაღაც უცნაურად მოიგერია, უფრო სწორად, კი არ მოიგერია, ბურთი ფეხებთან დაუვარდა და კარის ხაზი გადაკვეთა. ეჰ, მეკარე, მეკარე — არც სხვა რგოლებში გვაქვს საათივით აწყობილი საქმე, მაგრამ გოლკიპერებში მეტისმეტად გვიჭირს. იმდენად, მეტი რომ არც შეიძლება.

ლორია კიდევ ერთი-ორჯერ შეცდა და კიდევ კარგი, უელსელების საუკეთესო თავდამსხმელი რობერტ ერნშოუა, თორემ ტიერი ანრის ან რაულის ნახევარიც რომ ჰყოლოდათ, საქართველო ვერ მოიგებდა.

ისე კი, თამაში ქართველთა შესამჩნევი უპირატესობით დაიწყო, ათიოდ წუთი უელსელები ბურთს ვერც ხედავდნენ და უდროოდ მოატანა კუმასის კურიოზულმა გოლმა.

მეორე ნახევარი ჩვენებმა უკეთ დაიწყეს, მაგრამ მეტოქის საჯარიმოსთან თითქოს მორცხვობდნენო, თამამი გადაწყვეტილებების მიღება უჭირდათ.

და დადგა 67-ე წუთი, როცა ზურაბ მენთეშაშვილმა სანტიმეტრებში გამოზომილი პასით უელსელთა ხელოვნურ თამაშგარეზე დაგეშილი დაცვა „მოჭრა“, ლევან ყენია მარტო დარჩა მეკარესთან და ახლოდან გაათანაბრა — 1:1.

ეს 17 წლის ყენიას მეორე სანაკრებო გოლია: ნამდვილი მარგალიტია ეს ბიჭი, თუმცა მისი ქებით აქ აღარ დაგღლით.

ამ გოლიდან ორ წუთში იყო, კუმასმა კინაღამ მეორე რომ გაიტანა — ლორიას გასცდა და კარში ნელა დაარტყა, ბურთს მალხაზ ასათიანმა მიუსწრო და ხიფათიც განიმუხტა. აი, ბოლო 15-20 წუთში კი თამაში მთლად ჩაკვდა, ფეხბურთელები ნება-ნება აგორებდნენ ბურთს, არც ერთი გუ-

ლევან ყენიამ ამ დარტყმით გაათანაბრა

ნდი არ უტევდა და ფრე თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ღმერთო, თურმე ბოლო წუთზე ჩვენც შეგვძლებია გამარჯვების გამოდნობა — მარჯვენა ფრთაზე საჯარიმო დაინიშნა, ბურთი უელსელ მცველებს გადაახტათ, მეკარე ბოაზ მაიჰილი დასაჭერად გამოვარდა, მაგრამ ტანდაბალმა ბექა გოცირიძემ დაასწრო და თავით გაგზავნა ბურთი კარში.

მოვიგეთ! სხვა ყველაფერთან ერთად, იმიტომაც გაგვიხარდა სხვანაირად, წლეულს გამარჯვების გემო რომ არ ვიცოდით. ბიჭებს შავი სამკლავურები ეკეთათ მაისურებზე, წუთიერი დუმილიც უძღოდა მატჩს და მანამდე, საქართველოს ჰიმნის დასრულების შემდეგ, უელსელმა გულშემატკივრებმა ხმაურიანი ტაშიც შემოსცხეს.

ეჰ, არ ულხინს საქართველოს, მაგრამ ამ დღეებში ჩვენს გატანჯულ ხალხს თუნდაც პატარა გამარჯვებაც უხარია, სიამაყეს ჰგვრის.

რატი ალექსიძე

ექტორ კუპერი: მსოფლიო მსურს!

ამ დღეებში საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ვესაუბრეთ და ყველამ გვითხრა, ექტორ რაულ კუპერი საოცარი ენთუზიაზმით მუშაობს ჩვენთან და ისიც გვითხრა, ვიცით, რა მდგომარეობაში ხართ, მაგრამ თქვენი ვალია, გასაჭირში მყოფი სამშობლო ასახელოთო.

უელსთან მატჩის წინ არგენტინელ სპეციალისტს სუონსიში სააგენტო VALESONLINE ესაუბრა...

„სიტუაცია ძალიან რთული იყო და ახლაც რთულია. იყო საფრთხე, საერთოდ ვერ შეგვეკრიბა ფეხბურთელები. ისინი ნაკრების ტექნიკურ შტაბთან ერთად თითქმის 20-საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩამოვიდნენ უელსში. ახლა მოთამაშეების გამხნევებაა საჭირო, მორალურად და სულიერად მათი მომზადებისთვის არაფერს დავიშურებ.

... ქართველ ფეხბურთელებს ახლა ვეცნობი. 6 სექტემბერს ირლანდიასთან შესარჩევი მატჩი გვაქვს და იმედია, ეს შეხვედრა თბილისში გაიმართება (თუმც სამწუხაროდ, ფიფამ სხვაგვარად გადაწყვიტა).

... არ დავმალავ, საქართველოს ნაკრების 2010 წლის მუნდიალზე გაყვანა მსურს. კარგია, რომ ქართველ გულშემატკივრებს ამის ამბიცია აქვთ, მათ პატივი უნდა ვცეთ და მწვრთნელებმაც და ფეხბურთელებმაც მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. უამბიციო ნაკრებში არც დავიწყებდი მუშაობას.

... საქართველო ვერ დაივიწყებს რუსეთთან კონფლიქტს და ეს გასაგებიცაა. თუმც ისიცაა, საქმისადმი ზერელედ მოპყრობა არ შეიძლება. ეს ყველამ უნდა იცოდეს და გაითავისოს. სიმართლე გითხრათ, საქართველოში მიმდინარე საშინელმა მოვლენებმა ათმაგად შემმართა“.

ილია ნანოგაშვილი

ხურადო და 5 სექტემბერი ქართველთა შანსია!

რუსეთი 1:2 ესპანეთი

0:1 ხიმენესი (7), 0:2 ხურადო (26), 1:2 კ. კომბაროვი (49)

რუსეთი: ჯანაევი, პარშივლიუკი (სმოლოვი 73), ნაბაბკინი, გრანატი, იატჩენკო, ტარანოვი, კ. კომბაროვი, დ. კომბაროვი, რიაზანცევი, ფაიზულინი, პრუდნიკოვი

ესპანეთი: ასენხო, მიგელ ტორესი (კრესპო 66), მონრეალი, პიკე, ხავიერ გარსია, რაულ გარსია, გონსალესი, მარტინესი, ხიმენესი (კალეხონი 79), გრანერო (მატა 70), ხურადო

ესეც ასე! ესპანეთმა მოსკოვშივე დასცა ბეჭებზე რუსეთი და ამით საკუთარი და საქართველოს საქმე გააკეთა.

ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ესპანელებმა ფინალურ ეტაპზე თამაში პრაქტიკულად გაინაღდეს, მეორე ადგილისთვის კი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები იბრძოლებენ. ვის რა შანსები აქვს, ამაზე ბოლოში, ახლა კი გუშინდელ მატჩს დავუბრუნდეთ.

ესპანელთა შემადგენლობას თუ გადახედავთ, კარგად მიხვდებით რა პოტენციალიც აქვს ამ გუნდს. პირინეელებმა, როგორც იტყვიან, გამარჯობის თქმა არ აცალეს მასპინძლებს და სწრაფი გოლი გაუტანეს — ფრანსისკო ხიმენესმა ორი მცველი გააბითურა და პირისპირ დარჩენილს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

რუსებს თუ ჯგუფში პირველობა სურდათ, უნდა მოეგოთ, მეორე ადგილის გასანაღდებლად კი ფრეც აწყობდათ. ამიტომ მათ ბურთი უფრო დიდხანს ეჭირათ, მაგრამ უფხოდ უტევდნენ. ესპანელები კი პირიქით — ცოტას და მწვავედ.

26-ე წუთზე ესტებან გრანერომ ისარგებლა კირილ ნაბაბკინის შეცდომით და ხოსე ხურადოს საგოლედ უპასა — 2:0.

რუსებმა საფრთხე იგრძნეს, გააქტიურდნენ, მაგრამ უშედეგოდ და, ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე ესპანელთა მეკარე და დაცვა ჩავარდა. ვიქტორ ფაიზულინი საჯარიმოში შევიდა და სერხიო ასენხოს დაურტყა, მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა, ვერც მცველებმა დააზღვიეს და კირილ კომბაროვმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

ქართველთა სასიხარულოდ, ეს იყო ესპანელთა ერთადერთი შეცდომა მთელ მატჩში. რუსებმა შეტევები ინერციით კიდევ 5 წუთს გააგრძელეს და მერე ჩაეძინათ... ოღონდ მხოლოდ ფეხბურთისთვის, აგრესიულობა კი გააგრძელეს და ბლომად ყვითლების გარდა, ორ წითელ ბარათსაც გამოკრეს ხელი — ვლადიმირ გრანატი და კირილ კომბაროვი მოედნიდან გააძევეს და საქართველოსთან თამაშსაც გამოტოვებენ.

ახლა შანსებზე: რუსებს დარჩათ თამაში სტუმრად ესპანეთთან, ქართველებს შინ პოლონეთთან და სათამაშო აქვთ ერთმანეთში. თუ ქართველები 5 სექტემბერს რუსებს დაამარცხებენ (რაც ამ შესარჩევში ერთხელ უკვე მოახერხეს), მერე ესპანეთმა რუსებს უნდა მოუგოს, ჩვენ პოლონეთს და, მეორე ადგილზე გავდივართ. ასე რომ, ახლა მთავარი ბრძოლა 5 სექტემბერს გვაქვს. თამაში წესით მოსკოვში უნდა გაიმართოს, მაგრამ არის შანსი ამ ქვეყნების (უფრო სწორად მათი) არაკეთილმეზობლური დამოკიდებულების გამო ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდეს, თუმც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ხორვატ თავკაც ჰეტარ სეგრტს არც მოსკოვში ჩასვლის ეშინია და რუსებს აქედანვე ემუქრება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უესლი ბრაუნის გოლი ჩეხთა კარში

ფრანგთა მეორე და მესამე გოლები სიდნეი გოვუმ გაიტანა

ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ალბანეთი 1:1 საბერძნეთი

იტალია	8	7	1	0	19:3	22
ხორვატია	8	6	0	2	15:11	18
საბერძნეთი	8	4	2	2	18:12	14
ალბანეთი	8	3	2	3	10:9	11
ფარერები	8	1	0	7	3:15	3
აზერბაიჯანი	8	0	1	7	4:19	1

II ჯგუფი

სომხეთი 2:1 თურქეთი

ჩეხეთი	6	4	2	0	19:2	14
თურქეთი	6	4	1	1	12:6	13
უკრაინა	7	4	0	3	15:7	12
სომხეთი	7	3	1	3	8:12	10
ლიხტენშტაინი	8	0	0	8	4:31	0

IV ჯგუფი

რუსეთი 1:2 ესპანეთი

ესპანეთი	6	6	0	0	17:1	18
რუსეთი	6	4	0	2	10:3	12
ყაზახეთი	7	2	0	5	8:16	6
პოლონეთი	7	2	0	5	4:11	6
საქართველო	6	2	0	4	6:13	6

V ჯგუფი

ესტონეთი 1:0 მაკედონია

შვეიცარია 2:0 ნორვეგია

ჰოლანდია	6	5	0	1	9:1	15
შვეიცარია	7	4	1	2	15:5	13
ნორვეგია	6	3	1	2	6:5	10
მაკედონია	7	2	2	3	5:6	8
ესტონეთი	8	1	0	7	1:19	3

VI ჯგუფი

ლიტვა 0:3 შოტლანდია

ფინეთი	6	5	0	1	9:5	15
შოტლანდია	6	4	1	1	14:4	13
დანია	6	4	1	1	11:2	13
სლოვენია	6	1	1	4	3:10	4
ლიტვა	8	0	1	7	2:18	1

X ჯგუფი

უელსი 0:1 რუმინეთი

უელსი	7	5	0	2	17:6	15
რუმინეთი	6	4	2	0	10:1	14
საფრანგეთი	6	3	2	1	10:5	11
ბოსნია	6	1	0	5	6:15	3
მალტა	7	1	0	6	3:19	3

იტალია

კოპა იტალია

აველინო 0:1 რეჯანა

შოტლანდია

თასი

დანფერმლაინი 0:2 ძუინი

ამხანაგური მატჩები

იაპონია 1:3 ურუგვაი
გვინეა 1:2 კოტ დივუარი
სუდანი 3:0 ეგვიპტე
ტანზანია 1:1 განა
ალჟირი 1:0 საამიროები
ტუნისი 1:1 ანგოლა
ესტონეთი 2:1 მალტა
ფინეთი 2:0 ისრაელი
უნგრეთი 3:3 ჩერნოგორია
ყატარი 4:0 ტაჯიკეთი
პარაგვაი 1:1 საუდის არაბეთი
უკრაინა 1:0 პოლონეთი
ბელარუსი 0:0 არგენტინა
ლიტვა 3:0 მოლდოვა
მაროკო 3:1 გინეი
ნორვეგია 1:1 ირლანდია
რუსეთი 1:1 ჰოლანდია
რუმინეთი 1:0 ლატვია
თურქეთი 1:0 ჩილე
ბოსნია 1:2 ბულგარეთი
დანია 0:3 ესპანეთი
ლუქსემბურგი 1:4 მაკედონია
სლოვაკეთი 0:2 საბერძნეთი
ალბანეთი 2:0 ლიხტენშტაინი
იტალია 2:2 ავსტრია
სლოვენია 2:3 ხორვატია
შვეიცარია 4:1 კვიპროსი
ინგლისი 2:2 ჩეხეთი
გერმანია 2:0 ბელგია
შოტლანდია 0:0 ჩრდ. ირლანდია
შვედეთი 2:3 საფრანგეთი
პორტუგალია 5:0 ფარერები
ისლანდია 1:1 აზერბაიჯანი
ლატვია U-21 3:0 აზერბაიჯანი U-21
ბოსნია U-21 2:1 ხორვატია U-21
ფინეთი U-21 1:1 შვედეთი U-21
ისლანდია U-21 0:2 დანია U-21
ოსასუნა 0:0 ნუმანსია

პოლონეთი

II ლიგა

ვიძევი 2:0 ვარტა

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ზათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00